

საქართველო სამართლებრივი განცხადება

გამოცემა უცხოეთში მყოფ სამართლებრივი განცხადება—ბის კამიტეტისა.

რვეული პირველი.

ა მ ს ა ნ ა გ ე ბ ს

ამხანაგებო, ექვსი წელიწადი სრულდება, რაც რუსეთის ბოლშევიკები ძალით შემოიჭრენ ჩვენს სამშობლოში და მონობის მძიმე უღელი დაადვეს ქართველ ერს. ეს არის ექვსი წელიწადი წესწყობილებისა, რომელიც ქონებრივად აბეხავებს ჩვენს ხალხს, ანადგურებს ყოველგვარ მის თვითმოქმედებას, ათასირებს ადამიანობას, ჰკლავს პიროვნებას და ძირიანფესიანად სპობს თავისუფლებას. ეს არის სრული უარყოფა ეროვნებისა, ერის თვითარსებობის, ეროვნულ საჭიროებათა და მისწრაფებათა, რომელთაც მოძალადენი ცრუმორწმუნოებას ეძახიან და ხან ფარულად, ხან აშკარად ყოველ ღონეს ხმარობენ ჩვენი ერის გადასაგვარებლად და რუსული ენის, რუსული წესების და აზროვნების გასაბატონებლად საქართველოში. ეს არის დრო, როცა ქართველი საქართველოში თავისთავს უცხოელად ჰკრძნობს, როდესაც მას ჩამოართვეს ყოველი ლირსება და უფლება და დაუტოვეს ერთი—უხმოთ მორჩილებისა, დაცემისა, სიკვდილისა!

მაგრამ ეს არის ექვსი წელიწადი ქართველი ხალხის გმირული ბრძოლისა, ბრძოლისა თავის არსებობისათვის და დამოუკიდებლობისათვის; ექვსი წელიწადი ათი-ათასობით ციხეებში გამომწყვდეულ მათულიშვილთა, ცივ უცხოეთში გარდახვეწილთა და განაწამებთა, მოსყიდულ ჯალათების ხელით ვერაგულად დაცხრილულთა, დაუსაფლავებელთა და დაუტირალთა. ეს არის წელიწადები დიდი ისტორიული პირების—იმ მოხუცთა, რომელიც სამარის პირზე ამაყად ეუბნებოდენ მტერს: ჩვენ მივდივართ, მაგრამ ქართველი ერი იბრძოლებს კვლავ და თავისუფლებას დაიბრუნებსო; იმ დედათა, რომელიც დახოცილ შვილთა საფლავებზე ფიცს ადებინებდენ პატარა ბავშებს სამაგიეროს გადასახდელად მტრისთვის; იმ

ვაკა, რომელიც სასიკვდილოთ გამზადებული სამშობლოს დიდებას გაღობდენ და «საქართველოს გაუმარჯოს» იყო მათი უკანასკნელი ამოსუნთქვა. ეს არის დრო აგვისტოს, სექტემბრის, ქართველი ერის სიმტკიცის, უდრეკელობის, სიმაღლის, ეროვნული თვითშეგნების.

ეს არის წელიწადები, როდესაც ბოლშევიკები და ქართველი ერი ცალ-ცალკე დყანან. ეს ორი ბანაკია, ერთი მეორის მოწინააღმდეგე, ერთი მეორის დაუძინებელი მტერი. მათ შორის მხოლოდ ბრძოლაა.

და ჩვენ, რომელთაც პირველად ავიღეთ ხელში თვითპყრობელი რუსეთის ფეხით გათელილი დროშა საქართველოსი და ჩვენი პოლიტიკური და სოციალური მუშაობის საძირკვლად აღვიარეთ ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება, ჩვენ ყველაზე მეტად გვმართებს დღეს განსაკუთრებულის სიცხიზლით და სიმტკიცით დავიცვათ ეს დროშა ქართველი ერის დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობისა, რომელიც დღეს უკვე მთელი ქართველი ხალხის დროშაა, ყველა ქართველი პოლიტიკური პარტიის და საერთო სისხლით და ბრძოლით არის შარავანდელ-მოსილი და გაცხოველებული.

დღევანდელი რუსი ბოლშევიკები უფრო საშიშნი არიან ჩვენთვის, ვიდრე ძველი იმპერატორების მოხელეები. ბოლშევიკები თავის მიზნის განსახორციელებლად არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, არავითარ სიბოროტეს, და ბრძოლა მათ წინაამდეგ საჭიროა უფრო მედგარი, მომზადებული, განუწყვეტელი. მათი სიტყვები ეროვნული საკითხის პატივისუმისათვის არის სიცრუუ და თვალთმაქცობა, რომ უფრო ადვილად მოატყუილონ გულუბრყვილონი და მალე მიახწიონ საწადელს—ეროვნების მოსპობას. საფრთხეშია ქართველი ერის მიწაწყალი, სიმდიდრე, ენა, კულტურა, შემოქმედება!

ამ ბრძოლაში მთავარი სიმძიმე, რასაკვირველია, აწვება თვითონ ქართველ ერს. თავის არსებაში უნდა პპოვოს მან ყოვლის უწინარეს უნარი თავდაცვისა და წინაამდებობისა. არ შეეთვისოს მოძალადეთა პოლიტიკას და არ დასთმოს უბრძოლებელად არც ერთი თავისი ინტერესი და უფლება. მისი შეგნება უნდა იწრთვნებოდეს ყოველდღიურის ცხოვრებით და მისი ნებისყოფა მტკიცდებოდეს მიუყუჩებელის მოქმედებით იმ დღისთვის, როცა დაჰკრავს ყამი საქართველოს სრული განთავისუფლებისათვის.

თავის მიმდინარე საქმიანობისა და საბოლოო მიზნის გან-

ხორციელებისათვის ქართველმა ერმა კარგად უნდა გაითვალისწინოს როგორც რუსეთის ისე სხვა ქვეყნების მდგომარეობა და თუ ევალება არ მიეცეს ცრუ თცნებას, ისიც ნათლად უნდა შეიგნოს, რომ დღეს მისი საკითხი არა მოწყვეტილი, განკურძოებული, მარტო მისი საკითხი. მებრძოლი ერი ჩვენი მარტო არაა: მის გვერდში დგანან სხვა მებრძოლი ერები— მათი რიცხვი დიდია. ეროვნული განთავისუფლებისათვის იბრძის ბევრი ერი რუსეთში, აზიაში, აფრიკაში; იქა აქ ეპროპაშიც არიან დამანებული ერები და ესენიც მოითხოვენ თავის სრულს აღდგენას. დამონებული ერების განთავისუფლება დღეს ერთი უდიდეს მორიგ საკითხთაგანია დედამიწაზედ. ერთა განმათავისუფლებელი მოძრაობა, კარგა ხანია დაწყებული, შეუჩერებელის სისწრაფით და სიძლიერით მისწრაფვის წინ და არ მოიპოვება ძალა, რომელსაც შეეძლოს მისი შეწყვეტა და დაბრკოლება საბოლოოთ. დღითი დღე ახლოვდება ერების განთავისუფლების უამი და საქართველო, ქართველი ერიც ამისკენ მიდის.

ქართველი ერის საქმე არა განმარტოებული იმიტომაც, რომ ბოლშევიზმი დღეს საერთაშორისო საკითხია. იგი უპირისპირდება მთელს მოწინავე კაცობრიობას, მთელს მის განვითარებას, საუკეთესო მისწრაფებას. ბოლშევიზმი და მისი ლვიძლი ძმა ფაშიზმი, დიდი ომისაგან გამოწვეულ დაქვეითებასა და დაუძლეურებაზე აღმოცენებული, ებრძის და სპობს ადამიანის მიერ საუკუნეთა განმავლობაში დიდის შრომითა და ბრძოლით მოპოვებულ დაწინაურების უმტკიცეს საფუძლებს—პიროვნების ლირსებას, თავისუფლებას, თვითმოქმედებას, დემოკრატიას. ბოლშევიზმი და ფაშიზმი პიროვნების და თავისუფლების ჩასჩინაზე, იძულებაზე და ხალხის ბრძამორჩებაში ამყარებენ თავის ჰართველობას. მათი კანონია —უმცირესობის, მცირე ჯგუფის ბატონობა და ერის დიდი უმრავლესობის სრული დამონება და მისი ყოველი თავისუფალი აზრის და გრძნობის აღმოფხვრა. ეს მიიყვანდა კაცობრიობას სრულს გათახსირებასა და გადაგვარებამდე და ამიტომაა, რომ ქვეყნის განვითარებული აზრი ვერასოდეს შეურიგდება ბოლშევიკურ-ფაშისტურ მოძღვრებას. ბრძოლა ახლა იწყება, იზრდება, ფართოვდება და მაღე დადგება მთელი მსოფლიოს წინაშე გადასაწყვეტად: ბოლშევიზმის (და ფაშიზმის) გამარჯვება და მით მთელი ცხოვრების უკან დახევა, გაველურება, თუ მათი დამარცხება და აღდგენა იმ პირობებისა, რომელთა მეოხებით მხოლოდ შესაძლებელია დღევანდელ

საჭიროობო პოლიტიკ. და სოციალ. საკითხების გადაჭრა.

ამასთან ერთად არსებობს თავისებური წინააღმდეგობაც იმპერიალისტური. აღარავისთვისაა უკვე საეჭვო, რომ ბოლშევიკური რუსეთი განაგრძობს რუს მეფეების იმპერიალისტურ პოლიტიკას და ამ ნიადაგზე მოსალოდნელია მისი შეტაკება ევროპა-ამერიკის ბურჟუაზიის იმპერიალისტურ ინტერესებთან. ცხადია, თუ რას უმზადებს ეს რუსეთს—უფრო მომზადებულ მტერთან შებრძოლება რუსეთის დამსხვრევით გათავდება.


არ უნდა დავივიწყოთ თვითონ რუსეთის შინაური ვითარებაც, სადაც კომუნისტური წყობილების და ცხოვრების სინამდვილის წინაამდეგობა თანდათან იზრდება და მიჰყავს რუსეთი კრიზისებისაკენ, რომელთა დაძლევა დაბოლოს შეუძლებელი შეიქნება. ამ მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ რუსეთის ფარგლებში მომწყვდეულია მრავალი ერი, რომელიც მოუთმენლად უცდის ხელსაყრელ დროს თავისუფლების დასაბოუნებლად.

აი ყოველივე ამის გათვალისწინება უნდა გვიადვილებდეს აწინდელ მწარე ცხოვრებას და გვამსნევებდეს ბრძოლის საწარმოებლად. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდენა, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლება—ეს ხომ ჩვენი არსებაა, გარდაუვალი მიზანი. იქნება ქართველი ერი თავისუფალი—იქნება ძლიერი და განვითარებული, აყვავდება მისი მიწა, დამყარდება ქანებრივი კეთილდღეობა, გაიზრდება ყოველგვარი შემოქმედება; იქნება ქართველი ერი დამონებული—კიდევ უფრო გაღატაკდება საქართველო, დაბექავდება ხალხი, დაპყარგავს აღამიანობას და ბოლოს მოისპობა.

შეუძლებელია ცხოვრება გარეშე ეროვნულ თავისუფლებისა! განვაგრძოთ მისთვის მხნე მუშაობა და მედგარი ბრძოლა, ხან ჩუმი, ფარული, ხან აშკარა და მაღლა. შევიტანოთ ყოველ წრეში მეტი შეგნება, დავრაჩმოთ ხალხი განთავისუფლების აზრის გარშემო. მთელი კაცობრიობა, საერთო განვითარება ხელს უწყობს ამ ჩვენს ბრძოლას და ჩვენ გავიმარჯვებთ—ქართველი ერი აღსდგება, საქართველოს კვლავ და ამშვენებს თავისუფლების დროშა.

ამხანაგებო, მტკიცედ, წმინდად ვატაროთ ეს დროშა ჩვენს გულში.

ერთად ყველა ქართველ პარტიებთან, ერთად მეზობლებთან, ერთად საუკეთესო კაცობრიობასთან დიადი საქმისაკენ.



დცდასუთი წლის შემდგაბ.

წელს შესრულდა ოცდახუთი წელიწადი, რაც გადაიდგა პირველი ნაბიჯები ჩვენი პარტიის საფუძვლების ჩასაყარად. 1901 წ. სექტემბერში ქართველი საზოგადოების ერთმა ნაწილმა და რუსის ოფიციალურმა წრეებმა დიდის ზეიმით იდლე-სასწაულეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ასი წლის თავი. ამის გამო ჩვენი ინტელიგენციის ჯგუფმა ა. ჯორჯაძის მეთაურობით გეკტოგრაფით დაბეჭდილი პროკლამაციები გამოსცა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ქართველ ხალხს, გონის მოსულიყო, შეეგნო თავისი ეროვნული უფლებანი და დაწყო ბრძოლა მათ აღსაღენად.

მცირე ჯგუფის დაწყებული მუშაობა ეროვნული თვით-შეგნების გამოსალვიდებლად და მისთვის პრაქტიკული სახის მისაცემად თანდათან გაიშალა. ის დრო იყო, როცა ა. ჯორჯაძის ცოცხალი წერილები გაჩ. «ცნ. ფურცელში» საყოველ-თაო ყურადღებას იპყრობდენ და ყველგან მხურვალე მსჯელობის და აზრთა ნაყოფერ ამოძრავებას იწვევდენ. არჩილის გვერდში იდგნენ გ. ლასხიშვილი, როგორც მისი უფროსი ძმა, უკვე გამოცდილი საზოგადოებრივი მებრძოლი და დახელოვნებული მწერალი, ვლ. ლორთქიფანიძე, გ. დეკანოზიშვილი, რომლის გონივრული და ბეჯითი მოღვაწეობა დაუფასებელია ჩვენი პარტიული ცხოვრებისათვის, და სხვები.

დაახლოვებით ამ დროს მე გადავსახლდი ქუთაისიდან ტფილისში. ვმსახურობდი კორექტორად გაჩ. «ივერიის» რედაქციაში, რომელიც მაშინ აღ. სარაჯიშვილის საკუთრებას შეადგენდა. თანაც ამ გაზეთში მოვათავს თრიოდე კომპილი-ატიური ხასიათის ფელეტონი და რამდენიმე პატარა წერილი, საერთო სათაურით «ფიქრები... მხოლოდ ფიქრები», რომლებიც ძალიან აწუხებდენ ცენზორებს. რამდენიმე თვის შემდეგ გიორგიმ და არჩილმა წინადადება მომცეს—შენ ჩვენი ხარ, ჩვენთან ითანამშრომლე «ცნ. ფურცელში». მე სიამოვნებით დავთანხმდი და იმ დღიდან დავიწყო მათთან მუშაობა.

გარდა გაზეთის წარმოებისა ჩვენი მთავარი საზრუნავი იყო არა-ლეგალური მუშაობა: შემუშავება მთავარ დებულებათა ახალი პარტიისათვის, მოპოვება თანამგრძნობთა, შექმნა ორგანიზაციებისა და შეგროვება თანხის თავისუფალი ქართული ორგანოს გამოსაცემად უცხოეთში. კარგად მახსოვს, თუ რა ცხარე კამათი იმართებოდა, როცა ვსაზღვრავდით

ჩვენს საფუძვლებს. ჩვენ გვიხდებოდა მოქმედება ორ ჯგუფს შუა: ერთის მხრით იდგნენ ჩვენი ძევლი მოღვაწეები, რომლებიც, თუმცა მეტად ბუნდოვანად და გაუბრედავად, აღიარებდენ ეროვნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობას, მაგრამ სრულებით უარყოფდნ ცვლილებებს სოციალურ სფეროში; მეორეს მხრით საქართველოს ცხოვრებაში უკვე დიდი როლი თამაშობდენ ს.-დემოკრატები, რომლებიც იმ დროს ანგარიშს არ უწევდენ ეროვნებას, ეროვნულ არსებობის საჭიროებას. რაკი ჩვენი მსოფლმხედველობა ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო, ჩვენს თავდაპირველ მუშაობას ემსრობოდა ბევრი ისეთი პირი, რომლებიც შემდევ ჩამოვარდნენ—სხვა პარტიის მიერჩნენ ან პარტიის გარეშე დარჩნენ. ბევრს ხიბლავდა ჩვენი ეროვნული ლოქუნგები და თანაგრძნობას გვიცხადებდენ ამისთვის.

რამდენიმე საორგანიზაციო კრების შემდევ, რომლებიც იმდროინდელ პირობების მიხედვით საკმაოთ მრავალრიცხვანი იყო ყოველთვის, ერთხელ დაისვა საბოლოო გადასაჭრელად საკითხი: უნდა დაედგას ახალ პარტიის საფუძვლად ეროვნული პრინციპი და სოციალიზმიც ღრივე, თუ საკმაოა მარტო დემოკრატიული ეროვნული დროშის ხელში აღება, და დიდის უძრავლესობით წინაამდევ ორისა თუ სამისა დადგნილი იქნა, რომ პარტია უნდა იქნეს სოციალისტური და ეროვნული. თვით პარტიის მთავარ ინიციატორებისთვის ეს საკითხი არც ყოფილა. როდისმე სხვანაირად წარმოდგენილი. თავიდანვე მათი მისწრაფება ქართველი ხალხის განთავისუფლებისაკენ იყო მიმართული და ეს განთავისუფლება იქნებოდა ცალმხრივი და არა სრული, თუ არ იქნებოდა ერთსა და იმავე დროს როგორც ნაციონალური, ისე სოციალური. ქართველი ერის ყოველმხრივი განვითარებისათვის, მისი შემოქმედების გაშლისათვის, მისი ქანებრივი და კულტურული წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ქართველი ხალხი თავის თავს ეკუთვნოდეს, იყოს თავის ბატონპატრონი, იყოს თავისუფალი. ეს გარდაუვალია, უამისოთ ამაო სხვა ყოველივე მუშაობა ხალხის საკეთილდღეოთ. მაგრამ ამასთანავე ერთად ისიც ნათელი იყო ჩვენთვის, რომ ეროვნულ თავისუფლებას უნდა ამკვიდრებდეს ისეთი სოციალური წყობილება, რომელიც ხალხს უკეთესად უზრუნველყოფს ქონებრივად, ვიდრე დღეს არის. ჩვენ სოციალიზმსაც ეროვნულ თვალსაზრისით ვაფასებთ—იგი მიგვაჩნდა უძლიერეს იარაღად ქართველი ხალხის, ქართველი ერის გასამაგრებლად და განსავითარებლად.

არ შემიძლია, აქ ძალაუნებურად არ მოვიგონო ჩვენი ალ-
მზდელის ი. გოგებაშვილის სიტყვები, რომელიც სთქვა მი-
წების მშრომელ გლეხობისთვის გადაცემის შესახებ: აი,
ეს მისცემს ქართველ გლეხობას საშუალებას, დაიცვას ხა-
ქართველოს მიწაწყალი უცხოელ ჩარჩებისაგანაო. ეს რასაკვი-
რველია ძალზე განმარტივებული შეფასებაა სოციალისტური
მოძღვრების. მაგრამ არსებითად სოციალიზმს ყოველთვის
პრაქტიკულად უნდა მივუდგეთ, რომ იგი ერის ამაღლების
და გაძლიერების იარაღია. ჩვენთვისაც ასე იდგა სწორედ
საკითხი...

ჩვენი წინასწარი მუშაობა გაგრძელდა დაახლავებით ერთს
წელიწადს და პრაქტიკული საქმიანობის ერთი აქტოთაგანი
იყო უურნალ «საქართველოს» გამოცემა პარიზში, სადაც გავ-
გზავნეთ არ. ჯორჯაძე და გ. დეკანოზიშვილი. პირველი ნუმე-
რი გამოვიდა 1903 წ. მაისის პირველს...

ამ ამბების გახსენება ძალიან საჭიროა, ჩემის ფიქრით.
დღეს, როცა მსოფლიო ომმა და მით გამოწვეულმა მოვლე-
ნებმა მეტად შეარყიდეს ცხოვრების საფუძვლები, დღეს, როცა
ბოლშევიკების ექსპერიმენტებმა ძირიან ფესვიანად გადააბ-
რუნეს ადამიანის არსებობის პირობები და დადგა დრო ყვე-
ლაფრის ხელახლად გადასინჯვის. და შეფასების, ადვილად
მოსალოდნელია დაისვას კითხვა: რამდენად მტკიცეა, რასაც
დღემდის ვემყარებოდით, რამდენად საფუძვლიანია ის დებუ-
ლება, რომელზედაც ავაგეთ ჩვენი პარტიული მოღვაწეობა?
და როცა ასეთი კითხვა დადგება, არ შევგიძლია სრულის და-
მშვიდებით და შეურყეველის ჩრდენით არ ალიაროთ, რომ
ჩვენ სავსებით მართალი ვიყავით და განვლილმა წლებმა და
უკანასკნელი დროის ამბებმა კიდევ უფრო გაამაგრეს და
ცხადჰყვეს ჩვენი ეროვნული და სოციალისტური მისწრაფე-
ბათა ჭეშმარიტება და მათი განხორციელების გარდაუვა-
ლობა.

არასოდეს არ მდგარა კაცობრიობის წინაშე ისეთის სიმ-
წვავით და სიმძლავრით, როგორც დღეს, ერთა განთავისუ-
ფლების საკითხი და თანამედროვე ეკონომიკურ-სოციალური
წყობილების გარდაქმნის აუცილებლობა. ბრძოლა ადამიანის
პიროვნებისათვის, მისი ღირსებისა და თავისისუფლებისათვის,
ადამიანთა თანასწორობისათვის, ბრძოლა დემოკრატიული
წყობილების დასამყარებლად, რომელიც შორი დროიდან
მომდინარეობს, ხლო განსაკუთრებით გაფართვდა საფრან-
გეთის დიდი რევოლუციის შემდეგ, — თანდათან მივიდა სო-

ციალისტურ მოძღვრებამდე. სოციალიზმი არის ლოლიკური განვითარება დემოკრატიისა, ამბობს ყორესი. მაკიდონალდის სიტყვით, სოციალიზმი ბუნებრივი მემკვიდრეა ლიბერალიზმის და დემოკრატიზმის. საფრანგეთის სოციალისტების კონგრესმა ლილში გამოსთხვა, რომ დემოკრატია თავის საუკეთესო გამოხატულებას ჰპოებს სოციალიზმში. მართლაც თუ განვითარების მიზანია, რაც შეიძლება მეტი ქონებრივი და საზოგადოთ ფიზიკური უზრუნველყოფა ყველასათვის, მეტი თავისუფლება, მეტი შემოქმედება,—შეუძლებელია იგი (განვითარება) შეჩერებულიყო დემოკრატიზმზე, დაკმაყოფილებულიყო მარტო თვითმოქმედებით და თვითმართველობით, დამოუკიდებლობით პოლიტიკურ ცხვრებაში. პიროვნების უალრესი ლირებულება, თავისუფლება, თანასწორობა! მაგრამ არსებობს პიროვნების ლირსება ნამდვილად და თავისუფალია ადამიანი, როცა ის ქონებრივად უზრუნველყოფილი არაა? როცა სახსარი მისი არსებობისა სხვის ხელთაა, როცა მთელი თავისი ძალა, გონება, სიცოცხლე უნდა მოანდომოს ლუკმა პურის შოვნას?

ამას თავისთვად მოჰყვა ძეგბა ახალი ზომებისა. დემოკრატიზმი შეიჭრა ეკონომურ სფეროში და გამოარყვია, თუ რა მეთოდი და რა გზა იყო საჭირო, რომ ადამიანი არ ემონებოდეს ეკონომიკას, და თავისუფლებას და თანასწორობას მიეცეს მტკიცე საფუძველი. ეს შესაძლებელია სოციალიზმის დროს. დღევანდელი საზოგადოების დამახასიათებელია უთანასწორობა შრომაში, უთანასწორობა შრომის ნაყოფის განაწილებაში და ანარქია წარმოების, რომლის მატერიალური შემოქმედება უდიდესადაა განვითარებული. დღეს მთელი სიმდიდრე დაგროვილია მცირე ჯვაფის ხელში; უმრავლესობა, მძიმე შრომით დატვირთული, მოკლებულია არსებობის სახსრის მინიმუმს; თითქმის ნახევარი მუშებისა თავის ძალას ხარჯავს ისეთი საგნების გაკეთებაზე, რომლებიც არ წარმოადგენენ აუცილებელ საჭიროებას; წარმოების მოუწყობლობა იწვევს კრიზისებს და უმუშევართა რიცხვი დღითი დღე მრავლდება. რასაკვირველია, ამ პირობებში პოლიტიკური დემოკრატიზმი ჯერ კიდევ არ ჰქმნის პიროვნების განთავისუფლებას. ქონებრივად დამონებული და დამოკიდებული ადამიანი სანახევროდ ვერ ახორციელებს თავის უფლებებს და მრეწველობის ანარქიული ვითარება უკარგავს საზოგადოებას იმ სიმტკიცეს, რომელიც საჭიროა სრული განვითარებისათვის და დღევანდელი მატერიალური ქონების სრული გამო-

ყენებისათვის. სოციალიზმის ისტორიული დანიშნულებაა, ისე მოაწყოს ეკონომიკის, მეურნეობის ორგანიზაცია, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს არც ერთი ნამცეცი ცოდნის და ტენისის, რომელიც შეპქმნა კაპიტალისტურმა წარმოებამ, და ამავე დროს გამოიყანოს კაცობრიობის უმრავლესობა იმ მატერიალური ჩაგვრისაგან, რომელიც თვისებაა კაპიტალიზმის. სოციალიზმი მოაწავებს ადამიანის განთავისუფლებას ეკონომიკის ძალებისაგან, მისი მიზანია დაუბრუნოს ადამიანს ადამიანობა, რომ მის არსებაში ნაცვლად დღევანდელ ქონებრივ მისწრაფებათა გაბატონდეს მაღალი სულიერი მისწრაფებანი და ვრცლად გაშალოს ფრთხი მისმა შემოქმედებამ, რომელსაც არ ექნება კავშირი მხოლოდ მის პირდაპირ პრაქტიკულ საჭიროებასთან, არამედ უფრო და უფრო გადაიჭრება მხატვრობის, პოეზიის, ფილოსოფიის, წმინდა მეცნიერების სფეროში. სოციალიზმის დროს ყოველი ადამიანი შესძლებს იყოს ნამდვილი მოქალაქე, ნამდვილი წევრი საზოგადოების, ნამდვილი შეილი თავის ერის.

ამ რიგად სოციალიზმი განუკვეთელად გადაბმულია კაცობრიობის საერთო განვითარებასთან და იგი ეყარება იმ პრინციპებს, რომლებიც შეადგენენ დედა საფუძვლებს დღევანდელ საზოგადოებისთვის—ადამიანის პიროვნების უაღრესობის და მისი განთავისუფლების აუცილებლობას. სოციალიზმი წარმოშობილია იმ განვითარების, რომელიც განვლო კაცოარიობამ, პირდაპირი შედეგია ამ განვითარების და უარყოფა მისი იქნებოდა უარყოფა ყველაფრის იმის, რაც უდავოა და შეადგენს არსებითს შინაარსს აწინდელი კულტურის, პოლიტიკის, მორალის. თუ უკუსაგდებია თავისუფლება, თანასწორობა, თვითმოქმედება, პიროვნების ღირსება, თვითმართველობა, დემოკრატიზმი, უნდა უკუვაგდოთ სოციალიზმიც და უნდა დავუბრუნდეთ მონობას, ყმობას, თვითპყრობელობას. ხოლო თუ ეს ასე არაა, მაშინ სოციალიზმისთვის გზა გახსნილია, იგი სადღეისო მორიგი საკითხია.

რომ ახლანდელი ეკონომიურ-სოციალური წყობილება უნდა შეიცვალოს, ამის შეგნება დღეს მარტო მუშებში არაა. ამერიკელი მილიარდელი ფორდი ამბობს: «დღევანდელი წყობილება სრულებით არ ემსახურება საზოგადო ინტერესს, ვინაიდგან ხელს უწყობს ყოველგვარ გაფლანგვას, იგი არ აძლევს მრავალ მუშას საშუალებას მიიღოს თავის შრომის სრული საფასური. სოციალური მდგომარეობა, რომელშიაც იძულებული ვართ ვიცხოვროთ, არეულ დარეულია, ალსავსეა

უსამართლობით, ურიცხვი ნაკლი აქვს და რამდენიმედ სულელურიცაა».

სოციალიზმის დიდი მტერი გერმანელი მწერალი მიზესი იძულებულია აღიაროს მწუხარებით, რომ «სოციალიზმს დღეს პრინციპიალური მოწინააღმდეგე აღარავინ ჰყავს». სოციალისტები მოწინავე ქვეყნებში ყველგან დიდი როლს თამაშობენ, მათი რიცხვობრივი ზრდა და გავლენა როგორც შინაგან ისე საგარეო ცხოვრებაში ყოველ ეჭვს გარეშეა და რომ არა ბოლშევიზმი, რომელმაც დიდი გარყვნილება შეიტანა მუშა-თა წრებში და დაასუსტა ერთის მხრით, და რეაქციას ზურგი გაუმაგრა მეორეს მხრით, ახლა გერმანიაში, ინგლისში, საფრანგეთში და სხვაგან მართველობა სოციალისტებს ექნებოდათ ხელში.

თუ ასე სდგას არსებითად ჩვენთვის სოციალიზმის საკი-თხი, ეს რასაკვირველია სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ სოციალისტური ცვლილების მახდენას ერთგვარის გულუ-ბრყვილობით ვუცემოდეთ და ვითიქროთ, რომ საკმარისია სოციალიზმის განსახორციელებლად სოციალისტური თეზი-სების განვირება და კეთილი სურვილი. სოციალიზმი უმა-ლლესი კულტურაა და მისი არსებობისათვის საჭიროა სათა-ნადა მაღალი ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური ვი-თარება და იგი არასოდეს მოწყობა დეკრეტებით და პლაკა-ტებით. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს მოვილაპარაკოთ ვრცლად.

თანამედროვე დემოკრატიზმი წარმოშვა ადამიანის პი-როვნების ღირებულების შეგნებამ და მისი განთავისუფლების საჭიროებამ. ამ უკანასკნელზეა დამყარებული ეროვნული იდეაც, ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისუფლება ერის, და ეს ეროვნული მისწრაფება უფრო მძლავრია, ვიდრე დემო-კრატიული და სოციალისტური.

ზოგიერთები მე-19 საუკუნეს უწოდებენ ერთა განთავისუ-ფლების სახელს. ეს სწორი არაა. მართალია, გასულ საუკუნე-ში მოხდა რამდენიმე ერის აღდგენა და განთავისუფლება, მა-გრამ ეროვნული ბრძოლა წინადაც იყო, იყო ომები ეროვნულ არსებობისათვის. ეროვნული მისწრაფება ისევ ძევლია, რო-გორც საზოგადოება. ეროვნული ბრძოლა არსებობს იმ დღი-დან, რაც გაჩნდა ბრძოლა სახელმწიფოთა შორის და ერთი ერის დამონება მეორეს მიერ. ეს ბრძოლა მომავალშიაც იქ-ნება, ვიდრე არ მოხდება სრული განთავისუფლება ყველა დღეს დამონებულ ერისა.

ბევრი დაწერილა ერის წარმოშობისათვის და ზოგი მის არსებობას უკავშირებდა კაპიტალისტურ წარმოებას და ამ-ტკიცებდა, რომ ეროვნება არის ბურუჟაზიული მოვლენა, რომ პროლეტარიატისთვის არ არსებობს სამშობლო და ერი, და ერთიც და მეორეც სრული შეუსაბამობა იქნება სოცია-ლისტური წესწყობილების დროს. უპირისიპირებდენ აგრეთვე ერთმანეთს ერსა და კლასს, უპირატესობას აძლევდენ უკანა-სკნელს, იგი მიაჩნდათ განვითარების ერთადერთ ფაქტორად, კაცობრიობას წარმოგვიდგენდენ კლასებად დანაწილებულს და ეროვნული განსაზღვრა მიაჩნდათ ფიქციად.

ამნაირი შეხედულობის სრული უსაფუძვლობა დღეს უკ-ვე გამოაშვარავებულია და რუსის ბოლშევიკების გარდა ამას აღარავინ იზიარებს. ერები, ეროვნული კოლექტივები არსე-ბობდენ, როცა კაპიტალიზმის სახსენებელიც არსად იყო. ერი იგივე საზოგადოებაა. ადამიანები რომ შეკავშირდენ, შეადგი-ნეს საზოგადოება, რომელმაც თანდათან მიიღო სახელმწიფოს სახე, ეს იყო ეროვნული საზოგადოება თავის განსხვავებულის ელფერით, ზნეჩვეულებით, ენით, კულტურით, წყობილებით. ამ საზოგადოებაში იყო სოციალური დანაწილება, მაგრამ ეს არ სპობდა მის მთლიანობას. თავის კულტურას ეს საზოგა-დოება ჰქმნიდა საერთო ძალებით, აველას მონაწილეობით. მთლიანობა იყო აუცილებელი პირობა მისი დაწინაურების, შემომქმედი იყო მთელი კოლექტივი და არა ცალკე წე-ვრები თუ კლასები. კაცობრიობა არასოდეს არ წარმო-დგენდა უფორმო მასას და ერთსახიან საზოგადოებას. იგი შესდგებოდა სხვა და სხვა საზოგადოებისაგან, რომლებიც ჰქმნიდნენ ცალცალკე კულტურას. განვითარებამ ერთი ერის კულტურა მეორეს დაუახლოვა, მაგრამ არ მომხდარა ერო-ვნულ კულტურათა ერთმანეთში გათქვლეთა. დღეს ჩვენ ცესო-ვრობით მეტად განვითარებულ საერთაშორისო ურთიერთო-ბის პირობებში, ხოლო სრულიად არ გამქრალა ერთა კულ-ტურის თავისებურობა. პირიქით ეროვნული შემოქმედება დღეს უფრო ძლიერია და უფრო ღრიგინალურიც.

ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია, მაგრამ ეს საზო-გადოება არის მისთვის ყოვლის უწინარეს ერი, ეროვნული საზოგადოება. ადამიანი არის შემომქმედი კოლექტივში და ეს კოლექტივია მისთვის ერი. ერში პპოებს ადამიანი თავის გან-სახიერებას, ერი აკმაყოფილებს მის საზოგადოებრივ ინსტი-ტებს, ერი ასაზრდოებს მის კულტურულ მისწრაფებას, ანა-ყოფიერებს მის ენერგიას, აწყდის ცხოვრების წესებს, საჭირო

ხმებს და პანგებს, ფორმებს და ფერებს, რომლებსაც იგი ყველაზე უფრო ითვისებს, რომლებიც ყველაზე უკეთ გამოაცხადებენ მის ბუნებას. შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი სინამდვილეა არც მთელი კაცობრიობა, არც ცალკე ინდივიდი, არამედ ერი, ეროვნული საზოგადოება. ცალკე პიროვნება სინამდვილეა იმდენად, რამდენად წარმოადგენს ნაკვეთს ერისას, რამდენად მასში მოსჩანს და გამოსჭივის ეს თუ ის ერი. კაცობრიობა სინამდვილეა იმდენად, რამდენად გულისხმობს თავისებურ ეროვნულ ერთეულების კავშირს.

არის ერი, ერი პირველია და ორდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის თუ მთელი კაცობრიობის განვითარებაზე, უნდა თვალშინ დავისახოთ ერი და ეროვნული განვითარება. ყველა-ფერი უნდა გავჭომოთ და შევაფასოთ ეროვნული კოლექტივის თვალსაზრისით. კარგია, რაც აამაღლებს და განავითარებს ეროვნებას. ცუდია, რაც შებორკავს და დაახსობს ეროვნებას. სადაც მკვდარია ეროვნება, იქ მკვდარია შემოქმედება, მკვდარია ადამიანი. ადამიანის ძალა სრული გაშლა, ყოველი შესაძლებლობის განხორციელება მოსახერხებელია მხოლოდ თავისუფალ ეროვნულ წრეში. ამიტომა ძვირფასი ეროვნული თავისუფლება. ამიტომვე ვიბრძვით დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეებისთვის. დემოკრატიზმი და სოციალიზმი გვინდა იმისთვის, რომ ემსახურონ ეროვნულ კოლექტივის განვითარებას და მით საშუალება მისცენ ადამიანს უფრო ამაღლდეს გონიერივად და ზნეობრივად და მეტი შემოქმედებითი ნაყოფიერობა გამოიჩინოს როგორც მატერიალურ ისე სულიერ სფეროში.

ასე შედუღებულია დღეს ჩვენთვის ეროვნული თავისუფლება და სოციალური თავისუფლება. ერთიც და მეორეც საჭიროა ეროვნების გასანმტკიცებლად, გასაშლელად. ეროვნება კი, ერი, ეროვნული წრე აუცილებელი პირობაა ადამიანის პიროვნების უმაღლეს წარმატებისთვის.

ასე დგას საკითხი დღეს. მართალია, ოცი-ოცდახუთი წლის წინად ჩვენი ეროვნული მისწრაფება მეტად მოკრძალებულ ავტონომიის მოთხოვნაში გამოიხატა; კარგად გვესმოდა, რომ ერის არსებობისათვის მხოლოდ ერთადერთი სახეა—სრული თავისუფლება, მაგრამ ანგარიშს ვუწევდით ჩვენი ხალხის მაშინდელს შეგნებას და საგარეო პირობებს და დროებით ფრთა შევაკვეცეთ ჩვენს მისწრაფებას. ისეთმა გულწრფელმა მამულიშვილმა და გონიერმა ადამიანმა, როგორიც იყო ი. ჭავჭავაძე, ესეც კი გაიკვირა და სთქვა: «ეგ გულში უნდა გვეძო-



და დამარხული და გარეთ კი არ უნდა გამოგვემულავნებიაო...
დრონი იცვალება! განვლილი ოცდახუთი წელიწადი—ეს
გმირული ხანაა ქართველი ხალხის თავგამოდებული ბრძო-
ლის, ბრძოლის ადამიანური ლირსებისთვის, პოლიტიკურ და
ეროვნულ უფლებებისთვის. ამ ბრძოლაში იგი გაიზარდა, გა-
იწერთნა, მომწიფდა. დღეს მისი ასებობა წარმოუდგენელია
გარეშე სრული ეროვნული თავისუფლებისა, გარეშე საქარ-
თველოს დამოუკიდებლობისა.

და თავისუფალი საქართველო უნდა აღდგენილ იქნეს!—აი
ჩვენი უპირველესი საქმე დღეს, ამისკენ უნდა იქნეს მიმართუ-
ლი ყოველი ცოცხალი ძალა, ეს უნდა იყოს საგანი ყველა
ქართველი პარტიის ფიქრის და საქმის.

ს. ფირცხალავა.

ჩვენი საკითხი და

საგრთაშოის პირდები.

სრულებით გადაჭარბებული არ იქნება, თუ გიტყვით: იშ-
ვიათად ყოფილა სხვა რომელისამე ერის საკითხი ისე პოპუ-
ლიარული ეკრანასა და ამერიკაში, როგორც არის საქართვე-
ლოს დამოუკიდებლობის საქმე, ქართველი ერის სუვერენი-
ბის აღდგენა. ყველამ—უკიდურეს მემარჯვნებიდან დაწყებუ-
ლი უკიდურეს მემარჯვნებამდე (გარდა კომუნისტებისა და
მოსკოვის ოქროთი მოსყიდულებისა)—ყველამ კარგად იცის,
საქართველო უსამართლოდ, ვერაგულად, ძალით დაიპყრეს
რუსის ბოლშევიკებმა და ქართველ ხალხს სრული უფლება
და სიმართლე აქვს დაიბრუნოს დამოუკიდებლობა; იციან,
რომ საქართველო ძველი ისტორიული და კულტურული ქვე-
ყანაა, რომ ქართველობა ნიშიერი და ლირსეული ერთა, ყოვე-
ლობის თავდადებული იყო თავის თვითარსებობისათვის და
დღესაც გმირულად იბრძვის და გაუტეხელია, მიუხედავად იმ
საშინელი მდგომარეობისა, რომელშიაც იმყოფება. მოწინავე
პრესა სარგებლობს ყოველ შესაფერ შემთხვევას, რომ დაგ-
მოს რუსეთის ძალმომრეობა და გამოექმავოს დაჩაგრულ
ქართველ ხალხს. კრებებზე და მიტინგებზე ხშირად გაიგო-
ნებთ ჩვენი ქვეყნის სახელს და მისი ბედი ერთი საუკეთესო
საბუთთაგანია კომუნისტების წყობილებისა და პოლიტიკის
საწინააღმდეგოთ. როცა პარლამენტებში კომუნისტები ქებას
შეასხამენ რუსების სახელმწიფო უფლებრივობას ან გამოესარ-
ჩლებიან „იმპერიალისტურ ბურჟუაზიის მიერ დამონებულ

ერებს», ყოველმხრიდან მიაძახებენ: «საქართველო?.. საქართველო?..» ჩვენ გვყანან ყველა პარტიასა და წრებებში გულითადი მეგობრები და მათ შეუძლიათ გაიმეორონ კ. კაუცის სიტყვები, რომელიც სთქვა, 60 წლის იუბილე რომ მიუღოცეს ამ ორი წლის წინად: ვისაც ჩემი პატივისცემა აქვს და უნდა რითომე გამახაროს, ვთხოვ იმუშაოს საქართველოს განთავისუფლებისათვის.

რასაკვირველია, ჩვენ ძლიერ უნდა ვაფასებდეთ ასეთს თანაგრძნობას და მოპყრობას, რომელიც ქიორფასია და სათანადო ვითარებაში ნაყოფსაც მოგვცემს, გამოგვადგება, დაგვეხმარება. ხოლო ამის მეტს არაფერს უნდა მოველოდეთ და ამ მხრივ რაიმე სხვა იმედი და ცრუ ღცნება დიდი ზარალის გარდა არ რას მოგვიტანდა. ყოვლის უწინარეს, თანამედროვე კაცობრიობა, არც მოწინავე მისი ნაწილი, არა მისული იმ ზნეობრივ-საზოგადოებრივ სიმაღლემდე, რომ სხვისთვის დაჩაგრულისთვის თავი გამოიდვას და მოინდომოს აშკარა უსამართლობის, თუნდაც მეტად აღმაშფოთებელი მოვლენის მოსპობა ყოველს პირობასა და გარემოებაში. ჯერ კიდევ არ არიან ერები ისე შეკავშირებულნი და დაახლოვებულნი, რომ ერთმანეთის გაჭირვებაში აუცილებლად ჩაერიცხნენ და მოინდომონ მისი გამოსწორება, თუნდაც თვითონ პირადად ამისგან არავითარ სარგებლობას არ გამოელოდნენ. ამის მაგალითი ბევრი გვაქვს როგორც წარსულის ისე აწმყოსი და ძლიერაც რომ ვიწუშუნოთ და ცხარე საყვედურები ვსთქვათ. საქმეს ვერ ვუშველით. თანამედროვე სახელმწიფოს პოლიტიკა და მოქმედება არსებითად ემყარება საკუთარი ინტერესის მოთხოვნილებას და თუ საუკეთესო მოწინავე ელემენტები კარგად ჰგრძნობენ, რომ კაცობრიობა წარმოადგენს მთლიან ერთეულს, რომლის ერთი ნაწილის, თუმცა მცირედის საქმე. ყველას ეხება, დიდი უმრავლესობისათვის, ფართო მასებისათვის ასეთი შეგნება ჯერ მიუწვდომელია და გაუგებარი.

გარდა ამ საზოგადო მოსაზრებისა ორს გარემოებას უნდი მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება. პირველი: მთელი ევროპა და მასთან სხვებიც, რომელთაც რაიმე მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ომში, ისე დაქანცული და დასუსტებულნი არიან დღეს, რომ გაგონებაც კი ეზარებათ რაიმე საერთაშორისო გართულების დესისტლის ღვრის. ყველა დატვირთულია შინაურის საქმეებით—ეკონომიკურ, ფინანსისურ, პოლიტიკურ, მეურნეობის, მრეწველობის, სოციალურის კრიზისებით, მთელს თავის ძალონეს ამ—ომისგან გამოწვე-



ულ თუ გართულებულ—ჭრილობების გამოელებას ანდომებენ. ცდილობენ ყოველის ღონით მეზობლებთან უთანხმოება მორიგებით მოაწესრიგონ. გამარჯვებულნიც და დამარცხებულნიც უთმობენ ერთმანეთს და სადაც საქმეების გადასაწყვეტად არბიტრაჟს ნიშნავენ. მართველ წრეების მიღრეკილებას ხელს უწყობს საზოგადო პაციფიკური და დემოკრატიული მოძრაობა. წელს ზაფხულში და შემოდგომაზე, სამი დიდი საერთაშორისო სამშვიდობო კონგრესი გაიმართა და საყოველთაო მორიგების და მექავშირების იდეას აუწერელის აღფრთოვანებით ეგებებოდნენ დამსწრენი. ერთი ფრანგული რადიკალური გაზეთი სწერდა ამ დღეებში: ძნელია გადმოცემა იმ ენტუზიაზმისა, რომელიც გამოიწვია საფრანგეთის დელეგაციის გამოსვლამ ვენაში პან-ევროპის კონგრესზე. გაზეთი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ კონგრესის წევრებს ბანკეტი გაუმართეს იმ შენბრუნის სასახლეში, საიდანაც ამ თორმეტი წლის წინად გაისმა საშინელი ხმა მსოფლიო ომისა. ისახება ახალი ურთიერთობა მშვიდობიანი თანამშრომლობის, იქნედება ახალი ევროპა და ისეთი მოსისხლე მტრები ერთმანეთის წარსულში, როგორც საფრანგეთი და გერმანია, ერთმანეთს ხელს უწოდებენ მტკიცე ზავისათვის. უკაველია, ომი სამუდამოთ გამორიცხული არაა, ჯერ კიდევ მძლავრია ძველი ტრადიცია, რეაქციონური ძალები ენერგიულად მუშაობენ და მოსალოდნელია ზარბაზნები კვლავ ახმაურდნენ. ხოლო საზავო მისწრაფება ევროპაში დღითი დრეფართვდება და მისი საბოლოო გამარჯვება ეჭვს გარეშეა. ევროპა კარგად ჰყობნობს, რომ ერთი კიდევ დიდი ომი, და ევროპის კულტურისაგან არა დარჩება რა. აი, როცა ასეთი განწყობილებაა, ცხადია, რაც უნდა გული შესტკივრდეს ეგროპაში საქართველოსთვის, მის გასანთავისუფლებლად რეალურ დახმარებას და მით რაიმე გართულების გამოწვევას დღეს ადვილად ვერავინ გაბედავს.

მეორე გარემოება ისაა, რომ საქართველო პატარა პოლიტიკური ერთეულია და მისი წონა საერთაშორისო ურთიერთობაში მცირეა. ჩვენ აქ ვგულისხმობთ ჩეულებრივ მდგომარეობას. სულ სხვაა შესაძლებელი გართულებულ პირობებში, რაზედაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. ჩვენსაზე უფრო დიდი ქვეყანაა პოლონეთი, ბევრი თანამგზინობი და დამხმარე ყავდა, მაგრამ საუკუნე ნახევრის განმავლობაში დანაწილებული, დამანებული იყო და მის აღსაფგენად გარეშეს თავი არავის გამოუდვია. ჩვენც ასოცი წელიწადი რუსის იმპერატორების

კლანჭებში ვიყავით მომწყვდეულნი და ამის გამო მათ არავინ დატაკებია. ასევე უნდა შევხედოთ ჩვენს ეკონომიურ ლირებულებას. მართალია, საქართველოში კერძოთ და საერთოდ კავკასიაში დიდძალი ბუნებრივი სიმდიდრეა, მაგრამ ეს არ უნდა გადავაჭარბოთ. ნუ ვიფიქრებთ, რომ ჩვენში თვალმარგალიტები ყრია მინდვრებში და მათ დასაფლობლად ვინმე იარაღით დაეტაკება მოწინაამდეგეს. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელნიც ამბობენ: დააინტერესეთ ევროპიელი კაპიტალისტები საქართველოს სიმდიდრით და ჩვენს საკითხს მაშინვე ეშველებაო. უმშიფარი აზრია. დღეს საქართველოს ქონების ექსპლოატაციას თუ აიღებენ კაპიტალისტები, მხოლოდ თავისთვის მეტად სასარგებლო და ქართველ ხალხის-თვის ძალზე საზარალო პირობებში. ასეთი დაინტერესება, ცხადია, მიუღებელია ჩვენთვის. მაგრამ კიდეც რომ მისაღებელი იყოს, ევროპაში და არც სხვაგან არაა დღეს ისეთი ჯგუფი კაპიტალისტებისა, რომელთაც შეეძლოთ თავს იდვან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, ამისთვის ვისმე იარაღი ააღებინონ ხელში ან სხვა რეალური ძალა გამოიჩინონ. თავის მოტყვილება აქაც არ მოგვიტანს სარგებლობას და ჩვენთვის გაცილებით უმჯობესია, სინამდვილეს პირდაპირ შევხედოთ და გულახდილად ვსთქვათ: საქართველო და მისი განთავისუფლების საკითხი ყურადღებას იქცევს, ბევრი თანაუგრძნობს ქართველ ხალხს, გვეხმარება იდეურად, მორალურად, მაგრამ ათასნაირ რთულ და მძიმე საკითხით დატვირთულ დღევანდელ ევროპისთვის საქართველოს საკითხი პატარა პოლიტიკური საქმეა.

თუ ასეაო, გვეტყვიან ალბად: არსად რეალური მოკავშირე და დამხმარე არ გვყოლია და ცალიერის გულშემატკიცობით აბა ვინ რას გაგვიკეთებსო. არა. ჩვენ განმარტოებულნი არა ვართ და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში მოკავშირენი გვყავს. პირველი მოკავშირე თვითონ რუსეთია, სადაც ბოლშევიკები ყირამალა სიარულს დიდხანს ვერ შესძლებენ და უთუოდ დაიმსხვრევიან. ისტორიას არ ახსოეს მარტო ძალმომრეობასა და ტერორზე აგებულ წყობილების სიმტკიცე. ყოველგვარი თავისუფლების და თვითმოქმედების მოსპობა, ადამიანის პიროვნების გათელვა და გათახსირება, აზრის და სინდისის ჩატიობა აუცილებლად მიიყვანს დღევანდელ ბოლშევიკურ რუსეთს დამხობამდე, ვინაიდგან ის ქვეყანა, სადაც არ არსებობს არავითარი მსჯელობა და შემოქმედება, შეუჩერებლად განწირულია კატასტროფისა-

თვის. მიუხედავად არსებული საშინელი სახელმწიფო ობიექტი პირობებისა, რუსეთის ცხოვრება მაინც, ნელა და მძიმედ, მიღის წინ, მიღის სულ სხვა გზით, ვიდრე ეს დასახულია ბოლ-შევიკების მიერ. წინააღმდეგობა ცხოვრებასა და პოლიტიკურ ფორმებს შორის ფართოვდება, ლრმავდება. მრავლდება კრიზისები, რომელთა დაძლევა შეუძლებელი ხდება თუნდაც ისეთ პრიმიტიულ სახელმწიფოში, როგორიცაა რუსეთი. საბჭოთა სამეფოში დღეს არ არსებობს არც ერთი დარგი არც მართველობისა, არც მეურნეობისა, არც კულტურისა, სადაც საქმე სერიოზულად იყოს დაყენებული და საქმე საქმეს ჰგავდეს. მთელი კომუნისტური აპარატის უვარევისობა და დაშლა ეჭვს გარეშე, ამას კარგად ხედავენ თვითონ კომუნისტებიც, მაგრამ ყველას არ შესწევს სინდისი და გამხედაობა სინამდვილე აღიაროს. თვით ის რღვევა პარტიის შიგნით, რომლის მოწამენი ახლა ვართ, ყველაზე მჭერმეტყველურად ღალადებს, საითკენ მიღის ბოლშევიკური რუსეთი და რაა მისი ახლობელი მომავალი. ჩვენ ოპტიმისტურად არ ვუყურებთ დღევანდელ ამბებს: ალბად ჯერჯერობით ძალა ისევ სტალინს და მის ძმა-ბიჭებს დარჩებათ. მაგრამ დაწყებული შლა ამით არ გათავდება და ხვალ დაზევ სულ სხვა, უფრო მწვავე და კატასტროფიულ მოვლენებთან გვექნება საქმე.

ჩვენი განთავისუფლების დღეს აახლოვებს რუსეთი იმი-
თაც, რომ მისი და ევროპა-ამერიკის შეურიგებლობა უფრო
და უფრო აშკარავდება. რუსეთს ასულდგმულებს სულ სხვა
მისწრაფება, ვიდრე ევროპას. უკანასკნელი, როგორც ეს ზე-
ვით გვქონდა აღნიშნული, მთელი თავის ძალლონით იმასაა
მონდომებული, რომ ყოველი სადაცო საკითხი მშვიდობიანად
მოაგვაროს, თავიდან აიცდინოს გართულება და ომიანობა.
ევროპას სწყურია დღეს დამშვიდება, ზავი, როგორც არასო-
დეს. რუსეთის აზრი და საქმე კი სულ იმისკენაა მიმართული,
რომ სადმე ცეცხლი გააჩინოს, სისხლის ლვრა გამოიწვიოს,
უთანხმოებანი გაამწვავოს, სახელმწიფოები ერთმანეთს გა-
დაკიდოს. რუსეთის ოცნებაა კვლავ საშინელი ამბები და-
ტრიალდეს ევროპაში, რომ ევროპაც ისე დაინგრეს, როგორც
რუსეთია დანგრეული და მაშინ დამყარდება დედამიწაზე კო-
მუნისტური სამოთხეო. რუსეთის საელჩოები, საკონსულოები,
სავაჭრო აგენტები თავის მუშაობის ცხრა მეათედს ანდომე-
ბენ ევროპაში რაიმე გართულების გამოწვევას. მილიონებს
ხარჯავენ, არ ერიდებიან აშკარა ქრთამს, დალატს, მოსკოვიგას,
სიცორუეს, სიყალბეს. რუსის მუშები შიშვლები ყრიან და ამავე

დოოს მოსკოვი უხვ დახმარებას უგზავნის ინგლისის მუშებს და ურჩევს ოცნებულია დაიწყეთო. მეორეს მხრით ნაფთიც და სხვა საწვავი მასალა შეუჩერებლად შეაქვს ინგლისში და მით საშუალებას აძლევს მწარმოებლებს, რომ მაგრად იდგნენ და არ დაუთმონ გაფიცულ მემაღარეობს. ამ დღეებში ლიტ-ვასთან ხელშეკრულობა დასდვა მოსკოვმა და ვილნო ლიტვის ქალაქად იცნო. განა იმიტომ, რომ ლიტვა ებრალება და მის ეროვნულ უფლებებს სცნობს? პირველსავე შემთხვევას ისარგებლებს, რომ დაარღვიოს ლიტვასთან დადებული ხელშეკრულობა და უერაგულად დაიპყრას. მაგრამ უნდა დღეს ამ ხელშეკრულობით ვინმე გაამწაროს, სადმე შეტაკება გამოიწვიოს. უველამ იცის, რა ფულებს ხარჯავს რუსეთი ჩინეთში. იმიტომ კი არა, რასაკვირველია, რომ ჩინელებს დაეხმაროს, თავისუფლება მოიპოვონ. რუსების მიზანია მხალოდ ის, რომ ჩინეთის გამწვავებულ საქმეებში ევროპა-ამერიკა ჩაითრიოს, მით აქ ევროპაში გართულება შექნას. მდგომარეობა გააუარესოს. ასეთია ბოლშევიკური რუსეთის პოლიტიკა, რომელსაც იგი ვერ უდალატებს, ვერ შესცვლის, რადგან ეს მისი ბუნებაა, უამისოთ არსებობა არ შეუძლია და ამაზე ამყარებს თავის გამარჯვებას.

მშვიდობიანობის მოსურნე ევროპა ჯერ უთმენს რუსეთს. არ უნდა ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში, ცოილობს მასაც მოურიგდეს ოვორომე, შემოიყვანოს საერთაშორისო ურთიერთობის რგოლში, ცოილობს ისარგებლოს რუსეთის ბაზარი—შეიტანოს თავისი ნაწარმოები და იქიდანაც გამოიტანოს ნედლი მასალა. ევროპა იმის თანახმაცაა, რომ დაეხმაროს მატერიალურად რუსეთს ეკონომიკური აღორძინებისთვის, მაგრამ ერთის აუცილებელის პირობით, თუ ბოლშევიკები გონს მოვლენ, თავს გაანებებენ სხვა სახელმწიფოების საქმეებში ჩარევას, ხელს აიღებენ ევროპის არევ-დარევესა და დანგრევაზე. ეს კი რუსეთისაგან შეუძლებელია. ამის რწმენა თანდათან ეკარებათ ევროპიელებს. გერმანიამ, ინგლისმა, საფრანგეთმა და სხვებმა კარი გაუდეს ბოლშევიკებს, ეგონათ ევროპასთან თავისუფალი ურთიერთობა და დაახლოება გავლენას მოახდენდა მათზე და ისინი შესცვლიდნენ თავის მეთოდს და ევოლუციის საშუალებით მისცემდენ რუსეთს კულტურულ სახელმწიფოს სახეს. მაგრამ როგორც ეს ყოველთვის სჩვევიათ რუსებს, რაც უფრო მეტი ლმობიერება და მოთმინება გამოიჩინეს ევროპაში სახელმწიფო მოღვაწეებმა, მით უფრო გათავსედდენ ბოლშევიკები და გააძლიერეს თავისი



აგრესიული მუშაობა. რასაკვირველია ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. მსოფლიო ომში გამარჯვებული და დამარცხებული იმიტომ არ უწევდიან ერთმანეთს ხელს მოსარიგებლად, იმიტომ არ არიან ევროპის სახელმწიფოები მზად ყოველი დათმობისა და მსხვერპლისათვის საყოველთაო ზავის დასამყარებლად, რომ ეს ამდენის სიმწარით და ღვაწლით მოპოვებული მშვიდობიანობა ბოლშევიკებს დაანგრევიონ.

რომ ბოლშევიკები ევროპის საქმეებში ხელის ფათურით საყოველთაო აღმფორთებას იწვევენ, ეს ნათლად სჩანს იმ სიტყვიდან, რომელიც წარმოსთქვა ამ დღეებში (26. X-11) ინგლისის მუშათა პარტიის წლიურ კონფერენციაზე თავმჯდომარემ რობერტ ვილიამსმა (ამას წინად რუსეთი შემოიარა და კარგად გაეცნა იქაურობას): «ტომსკი გვიგზავნის ბრძანებას და ედიქტებს და ფიქრობს, რომ ის და მისი ამხანაგები ხელს უწყობენ ინგლისის მუშათა კლასის გათვითცნობიერებას. ეს ტყვილია. 1918-20 წლებში ინგლისელი მუშები მოითხოვდენ: შორს ხელები რუსეთისაგან. ჩვენ მაშინ პროტესტს ვაცხადებდით რუსეთის საქმეებში სამხედრო და ეკონომიური ჩაოვის წინააღმდეგ. ახლა არ გვინდა არც პოლიტიკური, არც სხვაგვარი ჩარევა ინგლისის საქმეებში. მე ვაცხადებ: შორს ხელები ინგლისის მუშათა მოძრაობისაგან!»

ევროპა დღეს თუ ხვალ იძულებული შეიქნება მიმართოს ამა თუ იმ ზომას მოსკოვის ასალაგმავად. ეს აუცილებელია.

დღევანდველი რუსეთის პოლიტიკა ვერაგულია, როგორიც არ ყოფილა არც ერთი წინანდელი დიპლომატიის პოლიტიკა. საქართველოსთან მეგობრობის ხელშეკრულობა დასდგა და რამდენიმე თვის შემდეგ თავს დაესხა და აუტანელი მონობის ბორკილები დადგა ქართველ ხალხს. ნაციათა ლიგა იზრდება, მის ჭერს ჭვეშ კავშირდებიან მთელი დედამიწის ერები. მოსკოვს ეს არ მოსწონს, ცხადია. ათასნაირ ხრის მიმართა—ხან მუქარას (!), ხან მუდარას, ხან შანტაქს, რომ გერმანია ლიგაში არ შესულიყო. მაგრამ გერმანია არამც თუ ლიგაში შევიდა, თავის გუშინდელ მტერთან საფრანგეთთან საბოლოოთ მორიგებას აპირებს. მოსკოვის დიპლომატები არ სცხრებიან და რაკი მშვიდობიანობის ხელშეკრულობა თითქოს მოდაში შემოვიდა, ეპატიუებიან დაუინებით თავის მეზობლებს: მოდით, ჩვენც მოვრიგდეთ, ერთმანეთს ხელს ნუ ვახლებთო. ავღანისტანის სანაპიროებიდან დაწყებული ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ კიდემდე ყველა მეზობელ სახელმწიფოს წინადადებას აძლევს სამუდამო ზავის დასადებად. მაგრამ

დოოს მოსკოვი უხვ დახმარებას უგზავნის ინგლისის შუშებს და ურჩევს რევოლუცია დაიწყეთ. მეორეს მხრით ნაფთიც და სხვა საწვავი მასალა შეუჩერებლად შეაქვს ინგლისში და მით საშუალებას აძლევს მწარმოებლებს, რომ მაგრად იდგნენ და არ დაუთმონ გაფიცულ მემაღარეობს. ამ დღეებში ლიტ-
გასთან ხელშეკრულობა დასდგა მოსკოვმა და ვილნო ლიტვის ქალაქად იცნო. განა იმიტომ, რომ ლიტვა ებრალება და მის ეროვნულ უფლებებს სცნობს? პირველსავე შემთხვევას ისარ-
გებლებს, რომ დაარღვიოს ლიტვასთან დადებული ხელშეკრუ-
ლობა და ვერაგულად დაიპყრას. მაგრამ უნდა დღეს ამ ხელ-
შეკრულობით ვინმე გაამწაროს, სადმე შეტაკება გამოიწვიოს.
უველამ იცის, რა ფულებს ხარჯავს რუსეთი ჩინეთში. იმიტომ
კი არა, რასაკვირველია, რომ ჩინელებს დაეხმაროს, თავისუ-
ფლება მოიპოვონ. რუსების მიზანია მხოლოდ ის, რომ ჩინე-
თის გამწვავებულ საქმეებში ევროპა-ამერიკა ჩაითრიოს, მით
აქ ევროპაში გართულება შექნას. მდგრადარეობა გააუარესოს.
ასეთია ბოლშევიკური რუსეთის პოლიტიკა, რომელსაც იგი
ვერ უდალატებს, ვერ შესცვლის, რადგან ეს მისი ბუნებაა,
უამისოთ არსებობა არ შეუძლია და ამაზე ამყარებს თავის გა-
მარჯვებას.

მშვიდობიანობის მოსურნე ევროპა ჯერ უთმენს რუსეთს.
არ უნდა ჩაერიოს რუსეთის შინაურ საქმეებში, ცოლობს
მასაც მოურიგდეს როგორმე, შემოიყვანოს საერთაშორისო
ურთიერთობის რგოლში, ცთილობს ისარგებლოს რუსეთის
ბაზარი—შეიტანოს თავისი ნაწარმოები და იქიდანაც გამოი-
ტანოს ნედლი მასალა. ევროპა იმის თანახმაცაა, რომ დაეხმა-
როს მატერიალურად რუსეთს ეკონომიკური აღორძინების-
თვის, მაგრამ ერთის აუცილებელის პირობით, თუ ბოლშე-
ვიკები გონს მოვლენ, თავს გაანებებენ სხვა სახელმწიფოების
საქმეებში ჩარევას, ხელს აიღებენ ევროპის არევ-დარევასა და
დანგრევაზე. ეს კი რუსეთისაგან შეუძლებელია. ამის ჩრდენა
თანდათან ეკარგებათ ევროპიელებს. გერმანიამ, ინგლისმა,
საფრანგეთმა და სხვებმა კარი გაულეს ბოლშევიკებს, ევრიათ
ევროპასთან თავისუფალი ურთიერთობა და დაახლოვება გა-
ვლენას მოახდენდა მათზე და ისინი შესცვლიდნენ თავის მე-
თოდს და ევოლუციის საშუალებით მისცემდენ რუსეთს კულ-
ტურულ სახელმწიფოს სახეს. მაგრამ როგორც ეს ყოველთვის
სჩვევიათ რუსებს, რაც უფრო მეტი ღმობიერება და მოთმი-
ნება გამოიჩინეს ევროპაში სახელმწიფო მოღვაწეებმა, მით
უფრო გათავსედდენ ბოლშევიკები და გააძლიერეს თავისი

აგრესიული მუშაობა. რასაკვირველია ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება. მსოფლიო ომში გამარჯვებულნი და დამარცხებულნი იმიტომ არ უწვდიან ერთმანეთს ხელს მოსარიგებლად, იმიტომ არ არიან ეცროპის სახელმწიფო მზად ყოველი დათმობისა და მსხვერპლისათვის საყოველთაო ზავის დასამყარებლად, რომ ეს ამდენის სიმწარით და ღვაწლით მოპოვებული მშვიდობიანობა ბოლშევიკებს დაანგრივიონ.

რომ ბოლშევიკები ეცროპის საქმეებში ხელის ფათურით საყოველთაო აღმფორთებას იწვევენ, ეს ნათლად სჩანს იმ სიტყვიდან, რომელიც წარმოსთვა ამ დღეებში (26. X-11) ინგლისის მუშათა პარტიის წლიურ კონფერენციაზე თავმჯდომარებრობერტ ვილიამსმა (ამას წინად რუსეთი შემოიარა და კარგად გაეცნო იქაურობას): «ტომსკი გვიგზავნის ბრძანებას და ედიქტებს და ფიქრობს, რომ ის და მისი ამხანაგები ხელს უწყობენ ინგლისის მუშათა კლასის გათვითცნობიერებას. ეს ტყვილია. 1918-20 წლებში ინგლისელი მუშები მოითხოვდენ: შორს ხელები რუსეთისაგან. ჩვენ მაშინ პროტესტს ვაცხადებდით რუსეთის საქმეებში სამხედრო და ეკონომიური ჩაოვის წინააღმდეგ. ახლა არ გვინდა არც პოლიტიკური, არც სხვაგვარი ჩარევა ინგლისის საქმეებში. მე ვაცხადებ: შორს ხელები ინგლისის მუშათა მოძრაობისაგან!»

ეცროპა დღეს თუ წვალ იძულებული შეიქნება მიმართოს ამა თუ იმ ზომას მოსკოვის ასალაგმავად. ეს აუცილებელია.

დღევანდველი რუსეთის პოლიტიკა ვერაგულია, როგორიც არ ყოფილა არც ერთი წინანდელი დიპლომატიის პოლიტიკა. საქართველოსთან მეგობრობის ხელშეკრულობა დასდგა და რამდენიმე თვის შემდეგ თავს დაესხა და აუტანელი მონობის ბორკილები დაადვა ქართველ ხალხს. ნაციათა ლიგა იზრდება, მის ჭერს ქვეშ კავშირდებიან მთელი დედამიწის ერები. მოსკოვს ეს არ მოსწონს, ცხადია. ათასნაირ ხრის მიმართა—ხან მუქარას (!), ხან მუდარას, ხან შანტაქს, რომ გერმანია ლიგაში არ შესულიყო. მაგრამ გერმანია არამც თუ ლიგაში შევიდა, თავის გუმინდელ მტერთან საფრანგეთთან საბოლოოთ მორიგებას აპირებს. მოსკოვის დიპლომატები არ სცხრებიან და რაკი მშვიდობიანობის ხელშეკრულობა თითქოს მოდაში შემოვიდა, ეპატიუებიან დაუინებით თავის მეზობლებს: მოდით, ჩვენც მოვრიგდეთ, ერთმანეთს ხელს ნუ ვახლებთო. ავღანისტანის სანაპიროებიდან დაწყებული ბალტიის ზღვის ჩრდილოეთ კიდემდე ყველა მეზობელ სახელმწიფოს წინადადებას აძლევს სამუდამო ზავის დასაღებად. მაგრამ

რუსეთის მეზობლებმა სხვებზე უკეთ იციან, თუ რას ნიშნავს ბოლშევიკების სიტყვა და დაპირება. მათ მწარე გამოცოილებით ნახეს, რომ რაც მოხდა აღერბეიჯანში, სომხეთში, საქართველოში, ესტონეთში, ხვალ მოსალოდნელია მათ ქვეყნებში. იციან, რომ ბოლშევიკების პოლიტიკური ვერაგობა ყველაზე უწინ მათ დაატყდება თავს და მათის მეოხებით, მათის აწეშდაწეშით მოინდომებენ ევროპის გულში გადახეთქას და იქ «მსოფლიო რევოლუციის» ცეცხლის ანთებას.

პირდაპირი, უშუალო საფრთხე რუსეთის მეზობლებს იმიტომაც მოელის, რომ ბოლშევიკური რუსეთი არა ნაკლებ ეტრფის თავის სამფლობელოს გაფართოვებას, ვიდრე იმპერატორების რუსეთი. მეზობლებში, ახლად შექმნილ სახელმწიფოებში ხომ ბევრი წინად რუსის იმპერიის ფარგლებში იყო და მათი უკან დაბრუნება წითელ მოსკოვს თავის უწმინდეს მოვალეობად მიაჩნია. ბუნებრივია, რომ რუსეთის მოსაზღვრე ერებს დიდი შიში აქვთ ბოლშევიკების. ხოლო არა ნაკლებ საშიშარია მათთვის მომავალი რუსეთიც. განა ბოლშევიკების მეყვიდრენი—იქნებიან ისინი მემარჯვნენი თუ მემარცხენენი—ადვილად შეურიგდებიან ჩამოშორებულ ერების დამოუკიდებელ სახელმწიფოების არსებობას? აქედან ცხადია, უბრალო გონიერება უკარნახებს ამ ერებს მჭიდრო თანხმობა იქონიონ ერთმანეთთან თავისუფლების დასაცავად რუსეთის შემოტევის წინააღმდეგ და მოკავშირენი ეძიონ იმ ერებშიც, რომლებიც დღეს ძალით არიან მომწყვდეულნი რუსეთის ფარგალში, მაგრამ რომელთაც არა შემთხვევაში არ უნდათ რუსეთთან ყოფნა. აქ, რასაკვირველია, საქართველოს განმათავისუფლებელ მუშაობისათვისაც ისახება სხვადასხვა გვარი შესაძლებლობა. საერთო ინტერესების შეგნება ავალებს რუსეთის მიერ ყველა შევიწროებულ ერს, შეაერთონ მოქმედება და ბრძოლა, რაიც მტკიცე გარანტია მათი სრული გამარჯვებისთვის...

აღვნიშნავთ მოყლეთ ერთ გარემოებას: თანამედროვე კაცობრიობის პოლიტიკის საფუძველს შეადგენს პირადი ინტერესი, სარგებლობა, ანგარიში. მართალია, დღეს ასეთს ინტერესს არ წარმოადგენს საქართველო. მაგრამ ევროპაშიც და აზიაშიც არის ზოგიერთი სახელმწიფო, რომლებისთვის რაიმე თუნდ მცირე საერთაშორისო ცვალებადობის დროს საქართველოს ფასი და მნიშვნელობა ექნება. კერძოთ ვიტყოდით ოსმალეთის შესახებ, სადაც ორგვარი მიღრეკილებაა—ერთი კავკასიის ერების გამაგრების, მეორე—მათის დაშლის



და ზოგის ანექსიის: წარსულის გაკვეთილებმა თვალები უნდა აუხილოს ახალი ოსმალეთის მოლვაწეებს, მათ უნდა შეიგნონ, რომ საქართველოსთან მოურიგებლობა და მისი დამოკუიდებლობის უპატივცემლობა სასარგებლო არ დარჩება თურქთა რესპუბლიკისათვის...

ჩვენ შევეხეთ ყველა იმ დღევანდელ საერთაშორისო კითარებას, რომელიც ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჩვენს მუშაობაში საქართველოს განთავისუფლებისათვის. აშკარაა, რომ ამა თუ იმ გარემოების სარგებლობა დამოკიდებულია ჩვენს უნარსა და მოქმედებაზე. როცა ამ მოქმედებაზე ვლაპარაკობთ, არასოდეს შეგვიძლია დავივიწყოთ აჯანყების საკითხი. მარტო აჯანყება არაა საკმარისი ერის აღსადგენად. ეროვნული თვითარსებობის დასაბრუნებლად ხალხი სხვადასხვანაირ ბრძოლას აწარმოებს, სხვადასხა გვარად მოლვაწეობს. დღეს ერთია გამოსადეგი, ხვალ მეორე. აჯანყება მეტად ძვირია და მისი მოწყობა ყოველ პირობაში არა მიზანშეწონილი. მაგრამ ერის განთავისუფლების საქმეში იმის გამორიცხვა შეუძლებელია. საზოგადოებრივი მოვლენების სრული გათვალისწინება მოუხერხებელია. ვინ იცის, სად მიგვიყვანს რუსეთის შინაური რლვევის პროცესი, რა სახეს მიიღებს რუსეთის დამოკიდებულება მეზობლებთან, როგორ გალრმავდება წინააღმდეგობა რუსეთსა და ევროპას შორის?

მზად უნდა ვიყოთ ყოველი გარემოებისათვის, ყოველი შემთხვევისათვის.

სიმ. ლეონიძე.



ეროვნულ პლტერის სადარაჯობებები.

მეექვსე წელია გრძელდება რუსულ საოკუპაციო ხელისუფლების ბრძოლა ქართველ ერის წინააღმდეგ.

არ დარჩენილა ბრძოლის არც ერთი საშუალება, რომლისათვის არ მიემართოს რუსული საბჭოთა ხელისუფლებას ქართველი ხალხის და მისი ეროვნულ შევნების მოსასპობად და გადასაგვარებლად.

თუ წინა წლებში რუსის ჯარი და მისი მორჩილი, ქართველ ერის მოლაპტე, ქართველი კომუნისტები ქართველ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში უმთავრესად ტერორს და ადმინისტრატიულ-რეპრესიულ ზომებს მიმართავდენ, დღეს იმათ ამ საშუალებებს კიდევ სხვა ლონისძიებები დაუმატეს,

რომლებსაც, მათი აზრით, არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობის საქმეში, ვიდრე ჩეკას, ლირსეულ მამულიშვილთა მასიურ დახვრეტის და მათი ცივ ქვეყნებში გადასახლებას.

კომუნისტურ პარტიას კარგათ ესმის, რომ ქართველ ხალხისათვის დამოუკიდებლობის ნიადაგის გამოცლა უფრო გაადვილდება, თუ ქართველ ერს წარმეტება საკუთარი ათას-წლიანი ეროვნულ კულტურა და მის ნაცვლად გამეფდება რუსულ კულტურის გავლენა.

ამიტომაცაა, რომ დღეს ბრძოლის სიმძიმე და მახვილი ქართველ ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში საკუპაციო ხელისუფლებამ მიმართა ჩვენი ეროვნული შეგნების და სახის—ქართულ კულტურის წინააღმდეგ.

ამ ორი წლის განმავლობაში უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლება ყოველგვარ საშუალებას მიმართავს ჩვენი ეროვნულ კულტურის ფრონტის დასარღვევათ.

მწერლობის შებოჭვის, მისთვის თავისუფალ ორგანოს აკრძალვის, ხელოვნებისათვის ეროვნულ მიმართულების წარმეტების მერე საბჭოთა ხელისუფლებამ შეტევა ამ მიმართულებით დააგვირვენინა ეროვნულ კულტურის კერის—ქართულ უნივერსიტეტის ბარბაროსულ დანგრევით.

რა უძლიადა წინ ამ ამბებს, რა მოტივიზაციით მოიქმედს ეს უდიდესი ანტიეროვნული საქმე კომუნისტებმა, მართლადაც ჩვენი ეროვნული სკოლა ვერ უსწრობდა ცხოვრებას წინ, რომ მას დასჭირდა ასეთი კარდინალური რეფორმები თუ ნამდვილად სულ სხვა ფარული საფუძველი უდევს ამ შეტევას?

ეხლაც, ჩვეულებრივად, ისეთი სურათი განმეორდა, როგორც წინეთ ხდებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა დიდ საპასუხისმგებლი ანტიეროვნულ მოვლენას. მოსკოვსა და ტფილისში, ზაქარიაშვილი, საქმის გადაწყვეტის შემდეგ რუსულ და ქართულ ყოვლისამტან პრესის ფურცლებზე აყიყინდენ რენეგატების მოსყიდული კალმები, ვითომც და «საზოგადოებრივ აზრის» მოსამზადებლად. ასეთ მუშაობაში, უთუოთ. პირველობა კოწია სულაქველიდეს და თ. ღლონტს ეკუთვნის, მაგრამ არ არის მართალი, თითქვას ესენი ან მათი მზგავსი მოღალატენი იყვნენ ამ საქმის ინიციატორები. მართალია, ამას მათ დიდ ღირსებად ჩაუთვლიდენ, მაგრამ აქ უფრო ზევიდან იწყება ეს საქმე, სადაც ცოტა რენეგატებზე უფრო შორს იხედებიან.



მაგ როგორც ირკვევა, საქმის კითარება ასეთი ყოფილა. ბოლშევკიები, ფრიად გასაგებ მიზეზების გამო, დიდი ხანია იღესავდენ კბილებს ჩვენი სკოლის და მასწავლებლობის წინააღმდეგ. ბოლშევკიები, ითვალისწინებენ რა ჩვენი სკოლის მნიშვნელობას ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში, იმთავითვე იყვნენ მოწადინებული ჩვენი სკოლის დასაბურობად. მაგრამ რას ნიშნავს არსებითად სკოლის დაპყრობა? ეს—კომუნისტურად განწყობილ და თანამგრძნობ მასწავლებლების კადრების ყოლაა, რომლებიც გაუძღვებიან მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრის საქმეს. ეს შეუძლებელი საქმეა. ჩვენი მასწავლებლობა, რომელსაც ორმოცხე მეტი წელი მოქონდა ხელით ჩვენი ეროვნული კულტურის ჩირალდანი და მოესწრო თავისი შრომის და ტანჯვის გამარჯვებას, დღეს ღირსეულ პასუხს აძლევს იმ გაორკეცებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა მთავრობა ატარებს ჩვენს სკოლებში. მასწავლებლობას ბოლშევკიებმა შიმშილით დახოქება მოუნდომეს; თვეობით არ იძლეოდენ ჯამაგირს, სოფლის ხელისუფლება სთელავდა მათ ადამიანის და მოქალაქის ღირსებას, მაგრამ ასეთმა ნაცად გზებმაც ვერ გასჭრეს მასწავლებლებას წინააღმდეგ. ისინი განაგრძობენ დგომას თავიანთ ეროვნულ მოვალეობის სადარაჯონ.

საბჭოთა ხელისუფლების ხუთი წლის არსებობამ საქართველოში ვერ შესცვალა ჩვენი სკოლის ეროვნული სული და ვერც მოსპობს მას.

ამიტომაც, ეს საქმე თავს იღა «კულტურულ სიმაღლე-ების» ლამპარმა სომეხმა ვაგან ვაგანიანმა, რომლის ინტერნაციონალურ ფრანგოლოგიის კორიანტელის უკან იმაღლება დაშნაველზე უფრო მავნე შავი ხულიგანი. თავის მიზნის მისაღწევად მან აპრილის პირველ რიცხვებში სპეციალურ ამ საქმისათვის მოიწვია ამიერ-კავკასიის განათლების სახალხო კომისრების თათბირი, სადაც გვარიანად დატუქსა ესენი «უმოქმედობისათვის» (ე. ი. სკოლის გარუსების სიჩქარე დაუწენა). შემდეგ კი პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგების (ამიერ-კავკასიის მაშტაბით) კონფერენციაზე ის ვრცელ მოხსენებით გამოვიდა. ანგარიშიდან ირკვევა რომ ვაგანიანი მოწადინებულია, ისეთი ბოროტი როლი ითამაშეს ჩვენს ცხოვრებაში როგორც მიასნიკიანს სურდა. მართალია, მოსხენება უნდა ყოფილიყო ამიერ-კავკასიის მაშტაბით, მაგრამ ვაგანიანმა მხოლოდ საქართველოზე იღაპარაკა. ის აქაც ხელ-

ახლა გამოთქვამს დიდ საყვედურს განათლების კომისარების მიმართ და შემდეგ, ასურათებს რა ჩვენი სკოლის ყველა საფეხურებს, მიუთითებს მთელ რიგ კარდინალურ ღონისძიებებს, რომლებიც, მისი აზრით, სავსებით, დროთა განმავლობაში, აღმოფხვრიან «შოვინიზმს» და გაამეფებენ რუსულ კულტურას ჩვენს სკოლაში. რაში მდგომარეობს ეს ზომები? პირველ რიგში დათხოვნილი უნდა იქნას ის პროფესორები და მასწავლებლები, რომლებიც ვერ იჩენენ საკმაო ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი, შემდეგ უნდა მოისპოს ისეთი საგნები, რომლებიც, ერთი მხრივ, მისი აზრით, არა საჭირო, როგორიცაა ლოდიკა, პსიხოლოგია, ფილოსოფია და მეორეს მხრივ კი ისეთებიც, რომელიც მეტის-მეტად (საქ. პოლიტ.-ეკონომ. და კულ. ისტორ.) ეროვნულ კულტურის შესწავლას ემსახურება, რადგან ვაგანიანი მთლიანი ინტერნაციონალურ (ე. ი. რუსულ) კულტურის მომხრეა. ვაგანიანი დიდ გაკვირვებას გამოსთქვამს, თუ როგორ ითმენს ასეთ მდგომარეობას ჩვენს სკოლაში საბჭოთა ხელისუფლება, როდესაც საშუალო სკოლის დასრულებისას ახალგაზრდამ არ იცის თანაბრად ქართულისა რუსული ენა. ის კატეგორიულად მოითხოვს რუსული ენის საათების გადიდებას სკოლაში, რაც სავსებით უყოფისა განახორციელა უკვე განათლების კომისარიატმა. შეორეს მხრივ ნაცვლად ზევით დასახელებულ გაუქმებულ საგნებისა ის ურჩევს შემოღებული იქნას ქართველ ხალხისათვის «დიდათ საჭიროა რ. კ. პ.-ს ისტორია, მუშათა მოძრაობის ისტორია რუსეთში, საბჭოთა კონსტიტუციია და უფლება და სხვა მზგავსი საგნები. ესეც უკვე განხორციელებულია არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, არამედ წმინდა სპეციალურზედაც როგორც საინჟინერო, აგრონომიული და საექიმოა (ეგრედ წოდებული პოლიტიკურ მინიმუმის სახით). ვაგანიანის უტიფრობა ამ თათბირზე იქამდის მივიდა, რომ თავის ქართველ და სომეხ ამხანაგებს შემდეგს ურჩევდა: გაანვითარა რა თავისი «ინტერნაციონალური» ორორია კულტურის და კერძოდ ენის შესახებ, მან დასძინა, რომ არა მარტო ისეთი მცირე ეროვნებებისათვის, როგორიც არიან აისორები და ქურთები ამიერკავკასიაში არ არის საჭირო თავისი მწიგნობრობა, არამედ ჩვენთვისაც, ქართველების და სომხებისათვის, ბევრად ხელ-საყრელია ის ცნება, რომ რუსული ენა «საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციის, ლენინის და ლეტომბრის ენა». მცირე ერების კულტურა ილიუზია, არსებობს მხოლოდ რუ-



სული კულტურა, რომელიც ემსახურება მხოლოდ ჩვენს საბჭოთა კავშირის საერთო აყვავებას, დასძენს ის. ქართველმა კომუნისტებმა აქაც ჩვეულებრივი სილაპრე გამოიჩინეს, ეერც ერთმა მათთავანმა ვერ უპასუხა ვაგანიანის ასეთ აშკარა ხულიგანურ გამოსვლაზე, თუმცა ვაგანიანს დებულება კომუნისტურადაც არ იყო სწორი (?). ყოველივე ეს ყბედობა საქ. კომუნისტურ პარტიის ცეკამ დირექტივად მიიღო და შეუდგა რეალიზაციას. ამის შემდეგ იყო მხოლოდ რომ სულაქველიძეებმა და ლლონტებმა აამუშავეს თავისი ბინძური კალმები, რასაც მოყვა ყოველ ქართველისათვის აღმაშფოთებელი ამბები. ჩვენში არ დარჩენილა საზოგადოებრივი წრე და კუთხე, სადაც ჩვენი უმაღლესი სკოლის დანგრევის ამბავი არ მიეღოთ დიდ სამგლოვიარო ცნობათ. აქ აღსანიშნავია ერთი მომენტი, თუ «სკოლის გადახალისება» სწარმოებდა ამიერ-კავკასიის მაშტაბით, რატომ გრძელდება სომხეთში წინეთ არსებული მდგომარეობა? ეჩმიაძინის სასულიერო სემინარია და აკადემია დღესაც ნახევრად ბერებს იძლევა, აქ რ. კ. პ.-ზე ჭაჭანიც კი არაა და მხოლოდ კათალიკოზების, გრიგორიანის ეკლესიის და ანის დროის სომხეთის ისტორიებს სწავლობენ!..

მაგრამ, ბოლშევიკები ვერასოდეს ვერ მიაღწევენ თავიანთ მიზანს.

მეფის მთავრობა ასი წლის განმავლობაში აწარმოებდა ჩვენი გადაგვარების პოლიტიკას უნაყოფოდ.

დღეს კი, როდესაც ჩვენ კულტურულად ევროპის განათლებულ ერებს მივსდევთ, ასეთი საშიშროება იმედს ვერ დაგვიკარგავს. დღეს ჩვენ მეტი საშუალება მოგვეპოვება ვიდრე წინეთ დავიცვათ ჩვენი ერი, ჩვენი კულტურა სხვის. მოძალადე ხალხის გავლენისაგან. ჩვენი სკოლა ისევე ეროვნულ სკოლად დარჩება და შეასრულებს იმ მოვალეობას, რომელიც მისთვის ქართველი ერის ისტორიას დაუკისრებია.

ბეგი გ—იამგ.

—♦—

სოციალისტური ინტერნაციონალის კლინიკები
მარხელში.

თუმცა წელიწადზე მეტია რაც მარხელის კონგრესი გაიმართა, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია, თუმცა დაგვიანებით, გავუზიაროთ ამხანაგებს ზოგი ჩვენი შთაბეჭიდილება, მით უფრო რომ ამ კონგრესზე პირველად მოხდა ჩვენი შეხვედრა სა-

ერთაშორისო უდიდეს თრგანიზაციასთან და ჩვენი პარტიის შესვლა სოციალისტურ ინტერნაციონალში.

უნდა გავიხსენოთ, რომ მსოფლიო ომის მეოხებით წინანდელი ინტერნაციონალი დაირღვა, დანაშილდა რამდენიმე ჯგუფად, რომელთაც მერე თავი მოიყარეს ორი მთავარი თრგანიზაციის გარშემო—ლონდონისა და ვენის. მაგრამ სოციალისტური მოძრაობის ყველა ერთგული მეგობარი გრძნობდა გაერთიანების აუცილებლობას. საამისო წინასწარი მუშაობა კარგა ხანს გრძელდებოდა და ბოლოს ჰამბურგის კონგრესზე 1923 წ. მაისში მოხდა ეს გაერთიანება და დაწესდა ერთი მუშაოთა სოციალისტური ინტერნაციონალი.

განახლებული ინტერნაციონალის მეორე კონგრესი შესდგა მარტელში 1925 წ. აგვისტოს 22-27. დაესწრო 31 ქვეყნის 40 სოც. პარტიის 422 დელეგატი და ბევრი სტუმარი.

საკონგრესო ბინა უბრალოა და სადადა მორთული. მალა კედლებზე ყველა ერის დროშაა ჯგუფ-ჯგუფად, რომელთა შორის წითელი დროშებია ჩართული. პრეზიდიუმის ადგილას უკან ერტესის ქანდაკებაა, წინ კი ორატორთა კათედრასთან მარქსის სურათი. დარბაზის ცენტრი უკავიათ ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის დელეგაციებს, მარჯვნივ სკანდინავია და სხ., ხოლო მარცხნივ ავსტრია. რუსეთის ს.-დემოკრატები, ქართველები, რუსის ესერები, ბალტიის სახელმწიფოები, იუგოსლავია, და სხ. საზოგადოება სადაა, დემოკრატიული. ბევრია პარტიული ლიდერი. სხანს სიმრავლე გერმანელებისა. ლაპარაკი სამს ენაზე—გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულზე. ერთ ამ ენაზე წარმოთქმული სიტყვა დაუყონებლივ ითარგმნება დანარჩენებზე.

კონგრესის დღის წესრიგში ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია: სოციალიზმის პოლიტიკა საერთაშორისო ზავისთვის, ომის საფრთხე აღმოსავლეთში, ომი მართვოში, კალონიების საკითხი, უმუშევრობა, რვა საათი, ბრძოლა ლოთობის წინააღმდეგ და სხ. გაგაცნობთ ერთი საკითხის ამბავს.

ქართველ დელეგატებისთვის და რუსეთის მოსაზღვრე ერების წარმომადგენლებისთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აღმოსავლეთ ევროპის საკითხს, რომელიც გადაბმულია ბოლშევიზმის საკითხზე. გაგაცნობთ, თუ რა გზა განვლო ამ საკითხმა კომისიაში (უნდა იცოდეთ, რომ კონგრესის მთავარი მუშაობა კომისიებშია). ხოლო ჯერ უნდა აღვინონო, რომ კონგრესის გახსნამდე და შემდეგაც რუსეთის (ს.-დ. და ს.-რ.), პოლონეთის, საქართველოს, სომხეთის, ფინ-

ლიანდიის, ლატვიის, ლიტვის; ესტონიის, უკრაინის პარტიებს სამი წინაშარი კრება პეონდათ ცალკე იმის შესახებ, რომ რამდენად შესაძლებელია საერთო ხაზი დაეცვათ აღმოსავლეთ ევროპის კომისიაში. სამწუხაროთ ამ კრებების მუშაობა დაუმთავრებელი დარჩა, რადგან მთელი დრო კონგრესს და მის კომისიებს უნდებოდა. ყოველ შემთხვევაში გამოირკვა აზრთა გაორება, როგორც კონგრესის კომისიაშიც: ყველანი აღიარებდენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში დიდი საფრთხეა ომიანობის, მაგრამ ერთი (რუსის ს.-დემოკრატები) ამტკიცებდენ, რომ მთავარი მიზეზი ამის არის ეროვნული საკითხის მოუწყობლობა ახალ სახელმწიფოებში და დასავლეთ ევროპის კაპიტალისტური იმპერიალიზმი, რომელიც ცთილობს ახალი სახელმწიფოები ბაზად გაიხადოს რუსეთის წინაამდეგ; დანარჩენები კი ამბობდენ, რომ ომიანობის ბუდეა ბოლშევიზმი და სანამ იგი არ მოისპობა, მშვიდობიანობა არ დამყარდება აღმოსავლეთ ევროპაში.—

გადავიდეთ ახლა კონგრესის კომისიაში, სადაც აღმოსავლეთ ევროპის საკითხმა ცხარე კამათი და დიდი შეხლა-შეტაკება გამოიწვია. აქაც თავიდანვე გამოირკვა ორი მიმდინარეობა. ერთს ემხრობიან უმთავრესად ინგლისელები და გერმანელები და მათი აზრის ენერგიული დამცველია ავსტრიელი ოტო ბაჟერი, რომლის შეხედულობით, ახლად დაარსებული სახელმწიფოები რეაქციონურ პოლიტიკას აწარმოებენ, ისინი არიან იარაღი დიდი სახელმწიფოების კაპიტალისტების, რომელთაც უნდათ მათი გამოყენება. ბოლშევიკების წინაამდეგ,—აი ამაშია საფრთხე მოისა. მეორენი—საფრანგეთი, ბელგია, პატარა ერები კი ფიქრობენ, რომ მართალია კაპიტალისტური იმპერიალიზმი აღმოსავლეთ ევროპაშიაც წარმოადგენს ომის საფრთხეს, მაგრამ იქ უმთავრესია ბოლშევიკური რუსეთის აგრესიული და ანექსიონისტური პოლიტიკა. კომისიის პირველ სხდომაზედვე არჩეულ იქნა მცირე კომისია რეზოლუციის პროექტის შესამუშავიბლად. ამ მცირე კომისიაში მოხვდნენ: ბაჟერი (თავმჯდომარე), პოლონელი სოციალისტი, რუსის ესდეკი, რუსის ესერი უ ირ. წერეთელი. მეორე დღეს ბრძოლა გაგრძელდა მცირე კომისიაში და წინაამდეგ მოლოდინისა პოლონელი არ მიემხრო ირ. წერეთელს და ესერს. მცირე კომისიის შემუშავებულ პროექტში გატარებული იყო ბაჟერის შეხედულობა. კომისია ვერ დაკმაყოფილა პროექტმა. ამიტომ მცირე კომისია შეაგვეს ახალის წევრებით (ინგლისელი, ფრანგი და ბელგიელი) და დაავალეს

პროექტის გადასინჯვა და შესწორება. კომისიაში წარმოდგენილ იქნა მეორე პროექტი, არსებითად არაფრით განსხვავებული პირველისაგან. გაიმართა მოკლე კამათი. ილაპარაკა სხვათა შორის ირ. წერეთელმა და შიაქცია ყურადღება ბოლშევიკების აგრესიულობის განსაკუთრებულებას. რეზოლუციის მოწინაამდევებმა შეიტანეს შესწორებანი. საგულისხმოა საფრანგეთის დელეგატის შესწორება, რომ სოციალისტ. ინტერნაციონალი მუდამ ებრძოდა ინტერვენციას რუსეთის წინააღმდეგ და ხელს უწყობდა რუსეთისა და ევროპის სახელმწიფოების ნორმალურ ურთიერთობას, მაგრამ ბოლშევიკები ისევ განაგრძოდენ თავის აგრესიულ მუშაობას და სხ. როცა კენჭი უყარეს ამ შესწორებას, მას მხარი დაუჭირეს საფრანგეთმა, ბელგიამ, პოლონეთმა, პატარა ერებმა, მაგრამ უარყოფილ იქნა ინგლისელების და გერმანელების ხმით (უნდა იცოდეთ, რომ ინგლისელებს ეკუთვნით 40 ხმა, გერმანიის გერმანელებს 40, ავსტრიის გერმანელებს 17, საფრანგეთს 25, ბელგიას 17 და სხ.). როდესაც კენჭი უყარეს მთელს რეზოლიუციას, ხმა მისცა 164 (ინგლისი, გერმანია, ავსტრია, რუსის ესდევები და სხ.), წინაამდეგ—11 (ჩეხები) და თავი შეიკავა 84 (საფრანგეთი, ბელგია, პოლონეთი, საქართველო და სხვა პატარა ერები).

ჩვენმა დელეგაციამ გადაწყვიტა, თავი შეეკავებია, როცა კენჭს უყრიდენ ამ რეზოლუციას კონგრესის საერთო კრებაზე და ეს დაესაბუთებია ასე: რეზოლუციაში არის ზოგი მუხლი ჩვენთვის სრულიად მისაღები, მაგრამ არის ისეთიც, რომელიც სისწორით არ აღნიშნავს სინამდვილეს და არ ითვალისწინებს ჯეროვანად ბოლშევიკურ საფრთხეს; განსაკუთრებით მხარს ვერ დაუჭერთ ასეთ დებულებას ჩვენ, რომელთაც ამდენი ძალმომრეობა განვიცადეთ ბოლშევიკებისაგან. ეს ჩვენი გადაწყვეტილება რომ გაიგეს სხვებმა, ბელგიელი დებრუკერი მოელაპარა ჩვენს დელეგაციას: ყველა ერის წარმომადგენელი, რომელთაც თავი შეიკავეს კომისიაში, კონგრესის სხდომაზე ხმას აღლევენ რეზოლუციას და მარტო ქართველების თავის შეკავება ძლიერ ცუდს შთაბეჭდილებას მოახდენს საქართველოს მეგობრებზედაც, ამიტომ უნდა გამოვნახოთ სხვა გამოსავალით. დებოლუკერი ასეთს წინადადებას იძლევა: იგი კენჭის ყრის წინ გამოვა ბელგიის, საფრანგეთის, პოლონეთის, საქართველოს და სხვების სახელით და განაცხადებს—არ ვიზიარებთ რეზოლუციის ყველა მუხლს, მაგრამ დღეს ხმას ვაძლევთ და შევეცდებით ინტერნაციონალში გავაცრცელოთ ჩვენი შეხე-

დუღობაო. ამაზე მოხდა შეთანხმება აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ.

თვითონ რეზოლიუციის მიყლე შინაარსი ასეთია: დასავლეთ ევროპაში მშვიდობიანობა იყიდებს ფეხს, აღმოსავლეთ ევროპაში კი მდგომარეობა უფრო და უფრო მწვაცდება; კაპიტალისტურ სახელმწიფოების და რუსეთის ურთიერთობა გაუარესდა. ჩინეთსა, ინდოეთსა და სხ. დაწყებული მოძრაობით შეშინებული კაპიტალისტური სახელმწიფოები ხალახლა ფიქრობენ აგრესიას რუსეთის წინააღმდეგ. თავის მხრით კომუნისტები ცთილობენ ეროვნული მოძრაობა აზიასა და აფრიკაში გამოიყენონ მსოფლიო ომის გამოსაწვევად. ახალი სახელმწიფოების საზღვრები არაა დაწესებული ეროვნული მოსახლეობის მიხედვით, ამ სახელმწიფოებში ეროვნული უმცირესობანი შევიწროებას განიცდიან. ამას სარგებლობენ კომუნისტები, რომ მოაწყონ გადატრიალება ამ სახელმწიფოებში და დაიპყრონ მერე ისინი, როგორც დაიპყრეს სომხეთი და საქართველო. მაგრამ იმპერიალისტური კაპიტალისტური სახელმწიფოებიც ფიქრობენ ეს პატარა სახელმწიფოები აამხედრონ რუსეთის წინააღმდეგ. ითვალისწინებს ყველა ამ საფრთხეს კარგრესი და აცხადებს: ინტერნაციონალი იცავს სავსებით ახალ სახელმწიფოების დამოუკიდებლობას; ინტერნაციონალი წინააღმდეგია მტრული პოლიტიკისა რუსეთის მიმართ; ინტერ-ი აღნიშნავს, რომ მის დახმარებით განახლდა დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის; ეს გარემოება უფლებას აძლევს ინტერ-ლს მოსთხოვოს რუსის ხალხს, იბრძოლოს თავის განთავისუფლებისათვის და წინააღუდგეს კომუნისტების აგრესიულს და ანექსიონისტურ პოლიტიკას; ინტერნაციონალი დარწმუნებულია, რომ მის საფრთხე ნაკლები იქნებოდა, რუსეთში რომ მისა და ზავის საქმე ხალხის ხელში იყოს და არა დიქტატორების. ინტერ-ი მოითხოვს უფლებას ყველა დამორჩილებულ ერისთვის, აგრეთვე რუსეთვის იმ ერებისათვის, რომელთაც რევოლიუციის დროს აღადგინეს თავისი დამოუკიდებლობა, როგორიცაა სომხეთი, საქართველო, უკრაინა და სხ...

ახლა საერთო შთაბეჭდილებანი; ჩვენს საკუთარს საკითხს ინტერნაციონალის მუშაობაში არა უკანასკნელი ადგილი უკავია, თუმცა არაა მიპყრობილი ისეთი გაბედული და ენერგიული ყურადღება, როგორც ჩვენ გვინდა. თუ გადავათვალიერებთ ორი წლის ანგარიშს (1923—

1926), დავინახეთ რომ საქართველოს საკითხი არა ერთხელ იყო დასმული ინტერნაციონალის ორგანოების წესრიგში. ყოვლის უწინარეს უნდა გავიხსენოთ ჰამბურგის კონგრესის დადგენილება, რომელმაც მოითხოვა საბჭოთა ჯარების გაყვანა საქართველოდან და ქართველი ერის სუვერენობის აღდგენა. ამის შემდეგ ეკზეკუტივმა საგანგებოთ მიმართა თავის პარტიებს: როდესაც მოითხოვთ რუსეთის იურიდიულ ცნობას, ფხიზლად ადევნეთ თვალყური, რომ ამ ცნობამ ხელი არ შეუშალოს საქართველოში რუსეთის ოკუპაციის მოსპობის მოთხოვნას. პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავზე ეკზეკუტივმა მანიფესტი გამოსცა, სადაც სხვათა შორის ნათქვამია: სამოცი წლის წინად ერების თავისუფლების უფლების სიმბოლო ჩვენთვის იყო პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენა, დღეს ინტერნაციონალისთვის ასეთ სიმბოლოდ არის საქართველოს განთავისუფლების მოთხოვნა. 1924 წლის აჯანყებისა და იმ რეპრესიების გამო, რომელიც მას მოყვა, ეგზეკუტივმა მაშტადება გამოსცა თავის პარტიების მიმართ—საქართველოს დაცვა ისეთივე წმინდა მოვალეობაა ჩვენთვის, როგორიც იყო პოლონეთის დაცვა პირველ ინტერნაციონალისთვის და ყველა ქვეყნის მუშებმა მხარი უნდა დაუჭირონ ქართველი ხალხის მოთხოვნასთ. ინტერნაციონალმა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება თუ როგორ დამახინჯებული იყო საქართველოს მდგომარეობა ინგლისის ტრედუნიონების მოხსენებაში. ეგზეკუტივმა გამოსცა ორი წიგნაკი საქართველოს ამბების და იქ გამეფებულ ბოლშევიკურ ტერორის შესახებ.

დღეს ინტერნაციონალს ბევრი თავსამტკრევი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. არ ძალუდს, ყველას სათანადო ყურადღებით, სისწორით და სამართლიანად მიუდგეს. მაგრამ ცხადია, რომ კაცაბრილი ყოველ საკითხის უფრო სამართლიან გადაწყვეტილებას ამ სოციალისტურ ინტერნაციონალისაგან უნდა მოელოდეს, ამ სოციალისტ. დემოკრატიისაგან. ამ ინტერნაციონალში იკრიბება ქვეყნის საუკეთესო ძალები, მზადდება მომავალი იჭედება იმის შეგნება. რომ ერები სოლიდარულად და შეთანხმებულად უნდა მოწყონ, ძალადობა და ომი უნდა გათავდეს. ჩვენი საკითხიც თუ იწვევს გარეშეებში თანაგრძნობას და ასე თუ ისე სამართლიან მოპყრობას, უპირველესად სოციალისტურ წრეებში. ჩვენც უნდა ვიყროთ მათთან, მათ ორგანიზაციასთან—ინტერნაციონალთან. მათი თანაგრძნობა, მათი მორალური დახმარებაც

ძალა. ვიმუშაოთ მათთან, ეს ჩვენს საქმეს დაეხმარება.

დასასრულ ღრიოდე სიტყვა ჩვენი პარტიის ინტერნაციონალში მიღების შესახებ.

იმ საერთო გადაწყვეტილებისა და მისწრაფების მიხედვით, რომელიც ჩვენს პარტიას ჰქონდა, უცხოეთში მყოფი პარტიული წევრები შეუდგნენ მუშაობას, რომ ჩვენი პარტია მიღებული ყოფილიყო მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალში. საამისო მოლაპარაკება გაიმართა ერთის მხრით ჩვენებურ ს.-დემოკრატებთან და მეორეს მხრით ჰქონდებულ საორგანიზაციო კომისიასთან. კონგრესს დაესწოო ერთი ჩვენი ამხანაგი და წარადგინა თხოვნა ჩვენი მიღების. საჭირო შეიქნა ჩვენი და ჩვენებურ ს.-დემოკრატების შეთანხმება ზოგიერთ საწარმომაღენლო საკითხებში. ეს შეთანხმება ჰქონდება კონგრესზე ვერ დასრულდა და ამიტომაც ჩვენი საკითხი გადაიდა შემდეგი კონგრესისთვის მარსელში. აქ ჩვენ წარვდექით უკვე შეთანხმებულის წინადადებით, რომლის ძალით: 1) საქართველოს დელეგაციაში შედიან ს.-დემოკრატებთან ერთად სოციალ-ფედერალისტებიც, 2) დელეგაციაში ხმების განაწილება ამ პარტიათა შორის ხდება შეთანხმებით, მათი ძალთა განწყობილების მიხედვით უკანასკნელ არჩევნების საფუძველზე, 3) დღეს ყველა ხმა (გადამწყვეტი) ეკუთვნის სოც.-დემოკრატიულ პარტიას, ვიდრე არ მოხდება ახალი შეთანხმება ახალი არჩევნების საფუძველზე. ამის მიხედვით წარდგენილი იყო სათანადო განცხადება და ჩვენი პარტია მიღებულ იქნა სოციალისტურ ინტერნაციონალის წევრად.

ემიგრანტი.

ქართველი ახალგაზრდა.

ვის არ ახსოვს, საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში, რა ენერგიული ბრძოლა აწარმოვა ქართველმა ახალგაზრდობამ თვისი სამშობლოს თავისუფლების განსამტკიცებლად და დასაცავად. უსაზღვრო იყო ახალგაზრდობის ენტუზიაზმი დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული და გასაკვირი არ არის მისი თავგანწირვა დიდი ყოფილიყო. მართლაც თავგანწირულების უმაღლესი ფორმა სამშობლოს იარაღით დაცვაში გამოიხატება, და სინამდვილეს არ ვუღალატებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართულს ლაშქრობას 1918 წელს საფუძველი ქართველმა ახალგაზრდობამ ჩაუყარა. გაიხსენეთ ჩვენი ჯარის შემადგენლობა 1918 წელში საქართველო-ისმალეთის

ომის დროს და 1921 წელში საქართველოშე რუსეთის ვერა-გულ თავდასხმის დღეებში, მოიგონეთ პარტიზანული რაზმი, ქართველი იუნკობის გმირობა კოჯორის პოზიციებზე.

მასშივრ 1921 წლის 16 თებერვალი. საგანგებოთ მოწვეული სტუდენტთა კრება. დამფ. კრების თავ. ამხანაგმა ა. ლომთათიძემ მიმართა სტუდენტებს: «ახალგაზდებო, ახლა თქვენი რიგია, ბედმა გარგუნათ იხსნათ სამშობლო განსაკლელისაგან!». —«მზათ ვართ გავწყდეთ ყველანი ერთად» —გაისმა ახალგაზრდობის საერთო ხმა მთელს დარბაზში.

მეორე დილით უკვე ახალგაზრდობის რამდენიმე ასეული მოწინავე პოზიციებისაკენ მიემგზავრებოდა.

მტრის ურდოებმა დაგვამარცხეს უსწორო ომში...

მაგრამ ახალგაზრდობას იარაღი ხელიდგან არ გაუგდია და თავისუფლებისთვის ბრძოლის დროშა არც ერთის წუთით არ დაუხრია.

ახალგაზრდობა იბრძოდა, იბრძვის და იბრძოლებს კვლავ იმ ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ლამობს ამოგლიჯოს ქართველ ხალხს ენა, გაურყვნას სული და შეურცხვინოს ნამუსი, მოსპოს ჩვენი ეროვნება, ჩვენი თავისუფლება...

იბრძოლებს, რადგან იგია ყველაზე უფრო მგრძნობიარე ნაწილი ერისა. და ყველაზე უფრო მწვავეთ განიცდის ერის ეხლანდელ ტკივილებს. იგი მაშინ დაყრის იარაღს, როცა ჩვენი ერის მაჯის ცემა შეჩერდება და ეს იქნება ხომ მაჩვენებელი მისი სიკვდილისა.

მაგრამ ლრმათ გვწამს, რომ საქართველო არ არის განწირული სასიკვდილოთ. იგი ლირსია სიცოცხლისა და იცოცხლებს კიდეც.

მეგობრებო, იყავით მედგრათ, განაგრძეთ ბრძოლა. არც ისე შორს არის ის ბედნიერი უამი, როდესაც ჩამორეკს ზარი საქართველოს განთავისუფლებისა.

ჩვენ კი, აქ ემიგრაციაში მყოფი ახალგაზრდობა, რომელსაც ბედმა გვარგუნა შორს ვიდგეთ ამ უამათ საქართველოში წარმოებულ მუშაობისაგან, მზათა ვართ საჭიროებისთანვე გავჩდეთ მანდ და შევებათ მტერს ჩვენი ქვეყნის აღდგენისათვის.

ყ. შარაძე.

1926 წ.